

ტრაგედია - თანამედროვე მენეჯერული აზროვნება



სააკაშვილისა და ქვეყნი-
დან გაქცეული მისი საცეცე-
ბის გარდა, სხვა წარჩინებუ-
ლები რომ გვარ-სახელით
არ მისხნებია, ამასაც მიაქ-
ცევდით, ალბათ, ყურადღე-
ბას. ახლავე აგისნით, ისინი
წარჩინებული ნაციონალები
კი არიან, მაგრამ არამც
და არამც წარჩინებული პი-
როვნებები. ცალ-ცალკე,
არც ერთი მათგანი არაფ-
რად არ ღირს, მხოლოდ ერ-
თად არიან „მაგრები“.

4

გელა ჩარკიანი:

**შეპარდნაჲ
დიდია და დიდის
დანახვა
მხოლოდ უორიდან
შეიძლება...**



8

დეპუტატების ნაწილი
ქალოვნების „თავეს“
ითხოვს, ნაწილი -
ამბრაზურად უფარება



3

**ვაზაგაშვილის საქმეზე
ბიძინა ივანიშვილის
დაიკითხება?! 2**

**„რაღაც რჩება
ხელუხლებელი“...**

ლევან სუსუჩიჩიკი
90 წელი უეუსრულდა



7



**ალექსანდრა ჭიკაიძე
თანამედროვე ღატოვა**

საპარტოველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჭი-
კაიძე პრემიერ-მინისტრს გადადგომის მოთხოვნით მიმართავს.
ამის შესახებ ალექსანდრე ჭიკაიძის განცხადება შინაგან საქ-
მეთა სამინისტროს ვებ გვერდზე გამოქვეყნდა.

„მინდა, მივმართო საქართველოს პრემიერ-მინისტრს გადად-
გომის მოთხოვნით. ჩემი ეს გადაწყვეტილება განაპირობა ბო-
ლო დროს გაუღებულმა ბრალდებებმა, თითქოს მე ხელს ვა-
ფარებ ზურა ვაზაგაშვილის მკვლელობაში მონაწილე პირებს.
მიუხედავად იმისა, რომ ეს ბრალდება არ შეესაბამება სიმართ-
ლეს, მე ვგრძნობ მორალურ პასუხისმგებლობას და ვტოვებ და-
კავებულ თანამდებობას.“

იმ შემთხვევაში, თუ მოხდებოდა ცხელ კვალზე იური ვაზაგაშ-
ვილის მკვლელობის გამოძიება, მე არ მივიღებდი ასეთ გადაწყ-
ვეტილებას. ამ ტრაგედიის დღეს მე არ ვიმყოფებოდი საქარ-
თველოში. ვინაიდან გამოძიება გრძელდება, ვთვლი, რომ უნდა ჩა-
მოვშორდე პროცესს, რათა საზოგადოებას არ დარჩეს კითხვები
ხელისუფლების მიმართ.

გამოვთქვამ იმედს, რომ უახლოეს მომავალში გამოძიება დას-
რულდება და ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა“.

**„ჭიკაიძე კიდევ ერთხელ დაადასტურა,
რომ ღირსეული პოლიციელი და ჩვენი
ქვეყნის ღირსეული ჯარისკაცი“**

— ბსე აფასებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ლარი-
ბაშვილი შს მინისტრობიდან გადადგომის თაობაზე ალექსანდრე ჭი-
კაიძის გადაწყვეტილებას.

მისივე შეფასებით, ჭიკაიძემ დაადასტურა ისიც, რომ მის-
თვის მთავარია არა თანამდებობა, არამედ ხალხის სამსახურში
ყოფნა.

„მან მომმართა თხოვნით, რომ დავაკმაყოფილო მისი განცხა-
დება გადადგომის თაობაზე. მე მინდა, გითხრათ, რომ ლექსომ
კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ არის ღირსეული ადამიანი,
მოიქცა ისე, როგორც მოიქცეოდა ღირსეული პოლიციელი და
ღირსეული ჯარისკაცი ჩვენი ქვეყნის. ის მოიქცა ისე, როგორც
მას ეკადრებოდა, რათა საზოგადოებაში არ დარჩეს არც ერთი
კითხვა, თუნდაც ის აბსურდული იყოს“, — განაცხადა ლარიბაშ-
ვილმა და აღნიშნა, რომ ჭიკაიძის განცხადებას დააკმაყოფი-
ლებს.

პრემიერის განმარტებით, მოქმედმა ხელისუფლებამ ქართულ
პოლიტიკაში სხვა სტანდარტები დაამკვიდრა.

„ჩვენ სხვა სტანდარტები დავამკვიდრეთ ქართულ პოლიტიკაში.
ლექსომ დაადასტურა, რომ მისთვის თანამდებობა არ ყოფილა
მთავარი. მთავარია, ემსახუროს ხალხს, ქვეყანას. ასე გა-
ვგრძელებთ მანამ, სანამ ვიქნებით ხელისუფლებაში - ჩვენი მთა-
ვარი პრიორიტეტია, ვემსახუროთ ჩვენ ხალხს“, — აღნიშნა პრე-
მიერმა.

„გამოვთქვამ იმედს, რომ უახლოეს მომავალში გამოძიება დას-
რულდება და ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა“, — წერს
შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებ გვერდზე გამოქვეყნებულ
განცხადებაში.

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სვავბან ვერ ნახავ!..

© ინფორმაცია

აზერბაიჯანის პრეზიდენტი
საქართველოში მოიწვია

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა აზერბაიჯანის პრეზიდენტი საქართველოში მოიწვია. როგორც „ინტერპრესნიუსს“ პრემიერის პრესსამსახურიდან აცნობეს, ირაკლი ლარიაშვილისა და ილჰამ ალიევის პირისპირ შეხვედრა დავოსში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში გაიმართა. მხარეებმა ორი ქვეყნის კეთილშეშობილი ურთიერთობებზე იმსჯელეს და სტრატეგიული თანამშრომლობის საკითხები განიხილეს.

შეხვედრაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა და აზერბაიჯანის პრეზიდენტმა აზერბაიჯანთან პოლიტიკური, ეკონომიკური-კულტურული და ენერგეტიკული თანამშრომლობის გაღრმავების სურვილი კიდევ ერთხელ გამოხატეს.

შეხვედრა BP-ის
აღმასრულებელ
დირექტორთან

დავოსის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში, საქართველოს დელეგაცია „British Petroleum“-ის აღმასრულებელ დირექტორს რობერტ დადლის შეხვდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურიდან აცნობეს, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიაშვილმა BP-ს აღმასრულებელ დირექტორს უკვე განხორციელებული ინვესტიციებისთვის მადლობა გადაუხადა და იმედი გამოთქვა, რომ თანამშრომლობა მომავალში კიდევ უფრო გაღრმავდება.

„British Petroleum“-ი მსოფლიოში წამყვანი ბრიტანული ნავთობპროდუქტების, რომელსაც აქვს წარმომადგენლობა 80 ქვეყანაში, 396.2 მილიარდი დოლარის შემოსავალი და 84 000 თანამშრომელი ჰყავს.

პრემიერმა ატომური
კვლევების ორგანიზაციაში
საქართველოს განვითარების
პარსაქტივები განიხილა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიაშვილმა და ატომური კვლევების ევროპული ორგანიზაციის CERN-ის გენერალურმა დირექტორმა როლფ ჰოიერმა, ატომური კვლევების ევროპულ ორგანიზაციაში – CERN საქართველოს ასოცირებული წევრის სტატუსით გაწევრიანების პერსპექტივები განიხილეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურიდან აცნობეს, შეხვედრაზე მხარეებმა ორმხრივი თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების კონკრეტული მიმართულებები განიხილეს.

მათივე ინფორმაციით, გადაწყდა, რომ არსებული პროექტების ფარგლებში თანამშრომლობა გაგრძელდება და ახალი პროექტების მეშვეობით არეალი გაფართოვდება.

ატომური კვლევების ევროპული ორგანიზაცია CERN-ი 21 წევრ სახელმწიფოს აერთიანებს. CERN-ის წევრ სახელმწიფოთა ფულადი კონტრიბუცია ყოველწლიურად, დაახლოებით, 1.5 მილიარდ დოლარს შეადგენს.

© „კორტაგის თემის“ საზარელი გაბრძოლა

იური ვაზაგაშვილი: – „რომელ გამოძიებაზე მელაპარაკებთ? პროკურატურაც და შსს-ც გაძეგლია ძველი კადრებით. ჩემი შვილის მკვლელები, მაგალითად, დალაქიშვილი ქალაქის სამმართველოს უფროსი იყო (ახლანდელი განათავისუფლეს), მირზოევი კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილეა. ცააძე, სამარტაშვილი და სხვები ისევ მალაღობა თანამდებობებზე მუშაობენ. ამ სპეცოპერაციაში ფირცხალავას, სპეცრაზმის უფროს ნაკანს და სხვებს 3 ათასი ლარი აქვთ მიღებული. ჩვენმა მოყვანილმა ხელისუფლებამ „გადაგვაგდო“. ჭიკაძეც, მერაბიშვილის მსგავსად, თავის კლანს მფარველობს და აწინაურებს.

ამ კითხვაზე პასუხი ხელი-სუფლებას არც ხუთიოდე დღის წინათ ჰქონდა და მით უმეტეს არა აქვს დღეს – არადა, საქართველოში 2015 წლის ყველაზე სასტიკი მკვლელობის მსხვერპლი სწორედ ზემოთ მოყვანილი სიტყვების ავტორია.

თითქოს ყველა შეთანხმდა იმ აზრზე, რომ იური ვაზაგაშვილი შვილის საფლავზე სიმბოლურად ააფეთქეს, გააჩურჩინეს და ამით გააფრთხილეს საზოგადოების აქტიური ნაწილი, რომ ერთხელ „გახსნილ“ საქმეებზე ხელახალი ვერდიქტი არ დაიდება!!! ეს მიდგომა ამ ეტაპზე ერთობ დასაჯერებელია, თუმცა, ამას პასუხი ჯერ გამოძიებამ უნდა გასცეს.

იური ვაზაგაშვილის ადვოკატი **გაბი მოსიაშვილი** კმაყოფილია გამოძიების მუშაობით და იმედოვნებს, რომ საქმე მალე გაიხსნება.

თუმცა, კონკრეტულისგან მაქსიმალურად თავს იკავებს, ისევ გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე. ადვოკატების მოთხოვნა – დროებით მაინც ჩამოაცილონ თანამდებობებს ის პირები, რომელთაც პირდაპირი თუ ირიბი შეხება ჰქონდათ ზურა ვაზაგაშვილის საქმესთან, პროკურატურა არ დააკმაყოფილა. პასუხი ასეთია: ამ ადამიანებს არ ახალ საქმესთან არა-ნაირი შეხება არა აქვთ! სამწუხაროდ, ფაქტია, რომ ასეთი დამოკიდებულება კიდევ უფრო მეტ კითხვის ნიშანს აჩენს საგამოძიებო ორგანოს მიმართ, თუმცა, რატომღაც სამართალდამცავებს ასეთ რისკზე წასვლა უღირთ. ვერ გეტყვით, რატომ?

ამის პარალელურად გამოთქმული მოსაზრებით, რომ არა პროკურატურიდან გა-ჟონილი ინფორმაცია ზურაბ ვაზაგაშვილის საქმის დასრულებასთან დაკავშირებით, შესაძლოა, იური ვაზაგაშვილი დღეს ცოცხალი ყოფილიყო. გაგი მოსიაშვილი ამ ფაქტს დეტალურად ვერ ხსნის, მაგრამ ამბობს: „არაერთხელ მივმართეთ პროკურატურას, რომ 2006 წლის 2 მაისის სპეცოპერაციასთან დაკავშირებული პირები ჩამოეშორებინათ თანამდებობისთვის. არ არის გამორიცხული, ეს პირები მნიშვნელოვან ინფორმაციას ფლობდნენ, ან გამოიყენონ თანამდებობრივი მდგომარეობა და კვალი აურიონ ძიებას, ან დააღწონ პირები, რომ-

ლებიც რამე სახის ინფორმაციას ფლობენ ზურა ვაზაგაშვილის საქმესთან დაკავშირებით. ბატონი იური ძალიან განიცდიდა ამ ფაქტს და ითხოვდა, რომ დროებით მაინც ჩამოეცილებინათ ეს ადამიანები პროკურატურისთვის. ეს მოთხოვნა დღესაც ძალაში რჩება... პროკურატურაში გვეუბნებოდნენ, რომ ეს მნიშვნელოვანი თემა იყო, მაგრამ გვარწმუნებდნენ, რომ ამ ადამიანებს საქმესთან შეხება არ ექნებოდათ“.

როგორც იცით, ზურა ვაზაგაშვილის საქმის ძიება 2007 წელს შეწყდა, ოფიციალური ვერსია ასეთი იყო: რომ ჯერ ახალ-გაზრდებმა პატრულს ავტომანქანიდან ესროლეს, ხოლო ორმხრივი სროლის შედეგად ზურა ვაზაგაშვილი გარდაიცვალა.

ვაზაგაშვილის საქმეზე
ბიძინა ივანიშვილის
დაიკითხება?!



გად ზურა ვაზაგაშვილი გარდაიცვალა. ამის მიუხედავად, ადვოკატები სამართლებრივი თვალსაზრისით არ გაჩერებულან და ხელისუფლების ცვლილების შემდეგ საქმეზე ძიება განახლდა. 2012 წლიდან დღემდე პროკურატურაში სამჯერ განხორციელდა საკადრო ცვლილებები, თუმცა, ვაზაგაშვილის საქმის დეტალები კვლავ ბუნდოვანია.

გაგი მოსიაშვილი ირწმუნება, „უფრო ეფექტიანი რომ ყოფილიყო გამოძიება და მომხდარიყო ინფორმაციის დროული გადამოწმება, შესაძლებელია, იური ვაზაგაშვილი ცოცხალი ყოფილიყო“. იყო თუ არა ეს ხელისუფლების პოლიტიკურ ნებაზე დამოკიდებული – უფლებადამცველი ერთმნიშვნელოვნად პასუხობს, „რა თქმა უნდა! გამოძიების გაჭიანურებამ გამოიწვია ის, რომ იური ვაზაგაშვილი მოკლეს!“

ამის მიუხედავად, ბოლო 6-7 თვის განმავლობაში იური ვაზაგაშვილი პროკურატურას ხშირად სტუმრობდა. ურთიერთთანამშრომლობამ შედეგებიც მოიტანა. საქმე თითქოს დღე-დღეზე უნდა გახსნილიყო...

ზურა ვაზაგაშვილის ადვოკატებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ „კორტების საქმე“ 2-3 კვირაში გაიხსნება. მაგრამ არ არის დაკითხული ამ საქმის მთავარი ფიგურა – ირაკლი ფირცხალავა, რაც აჩენს

ეჭვებს სრულყოფილ გამოძიებასთან დაკავშირებით. გაგი მოსიაშვილი ვარაუდობს, რომ შესაძლოა, ეს უკავშირდებოდეს გამოძიების ტაქტიკას და ახლა ასე იყოს საჭირო...

გაგი მოსიაშვილი ვერ ადასტურებს, მართლაც შეხვდა თუ არა იური ვაზაგაშვილი ბიძინა ივანიშვილს, ამდენად, არც ის იცის, რა ინფორმაციას მიაწვდიდა ის ყოფილ პრემიერს. მაგრამ, თუ ეს ნამდვილად მოხდა, უფლებადამცველი ამბობს, რომ ასეთ შემთხვევაში ივანიშვილი აუცილებლად უნდა დაიკითხოს. პროკურატურა უნდა დაინტერესდეს, რა ფაქტები გაა-ცნო მას გარდაცვლილმა.

ადვოკატის ინფორმაციით, გამოძიება ეფექტიანად მუშაობს. საგამოძიებო მოქმედებები ტარდება, დაახლოებით 20 საათის განმავლობაში ხდებოდა შემთხვევის ადგილის სრულყოფილი დათვალიერება. პარალელურად იკითხებოდნენ მოწმეები. ადვოკატმა არ იცის, არსებობს თუ არა რაიმე კონკრეტული კვალი, თუმცა, ამბობს, რომ სამართალდამცველები რამდენიმე ვერსიაზე მუშაობენ. „პირველი, რაც შეიძლება ითქვას, ისაა, რომ იური ვაზაგაშვილი მოკლეს. მას თავი არ აუფეთქებია პროკურატურას ჰყავს თუ არა ეჭვმიტანილთა წრე, ჩემთვის ცნობილი არ არის, მაგრამ დაცვის მხარის ვერსია ასეთია, რომ შეიძლება მკვლელობა უკავშირდებოდეს ზურა ვაზაგაშვილის საქმეს. ამის დადასტურება ამ ეტაპზე არ შეგვიძლია“, – აცხადებს ადვოკატი. მისივე ინფორმაციით, პროკურატურას უკვე დაკითხული ჰყავს ზურა ვაზაგაშვილის საქმის სავარაუდო ინკოგნიტო მოწმე, რომელზეც იური ვაზაგაშვილი ბოლო პერიოდში აქტიურად საუბრობდა. ეს პირი ვაზაგაშვილი საქართველოში არის თუ არა, მოსიაშვილი უპასუხოდ ტოვებს, მაგრამ ამბობს, რომ მან ამის შესახებ იცის.

რაც შეეხება, კონკრეტულად იური ვაზაგაშვილის საქმეს, მას არ იძიებს არც ერთი ის გამოძიებელი, რომელიც ნაციონალური ხელისუფლების დროს პროკურატურაში მუშაობდა.

შპიქლმბა თუ არა იური ვაზაგაშვილის მკვლელობა რაიმე სხვა ინტერესს უკავშირდებოდა, თუნდაც ბიზნესს, და მკვლელობა შვილის საფლავზე, სწორედაც კვალის ასარეცად მოხდა? – ამ კითხვით მივმართეთ ადვოკატს. არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება ამბობს ის, იურის კარგად ვიცნობდი და ასეთ თემებზეც ვსაუბრობდი. მას არასოდეს უთქვამს, რომ რაიმე ფინანსური პრობლემა აწუხებდა. ჰქონდა მცირე ბიზნესი და ფლობდა ობიექტს, რომლის 100-პროცენტია მესაჭურველ თვითონ იყო, წელი სხვას არავის ეკუთვნოდა.

მოკლედ, თითქოს ამ საქმის დეტალები ხელისგულზე დევს, მაგრამ სიღრმეებში ბევრი ბურუსია. ვნახოთ, როგორ ჩააბარებს „ტესტს“ პროკურატურა და რა პასუხს გასცემს საზოგადოებას, რომელიც ვაზაგაშვილის სიკვდილს პროკურატურის უნიათობას უკავშირებს...

თაბა მოსია

© კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● ასე იცის მკვლელებისთვის სასაბურთე პირობების შექმნა, ღორის ტილების ფეხზე დასამა და უკანალში პერო კოპანტიაციამ დროზე დაამთავრეთ ნაციონალები!!!!!! უმჯობესად დასაჯეთ მკვლელები და დამკვეთები ხელი-სუფლებით იმით არ მოგვიყვანისარო, კიდევ სირბანჯო ნაციონალების პარპაშს რომ ვუყუროთ! მოკლული შვილის საფლავზე დააკლეს სიმართლისთვის თავგადადებული მამა, კარგად გაიზარეთ რა უბედურება მოხდა და რა შეიძლება მოყვეს ამ ამბის გაჭიანურებას! ნუ გაუხდით სანანებლად თავის არჩევანს იმ ხალხს, ვინც გენდოთ და უკეთესი მომავლის იმედით ხელისუფლებაში მოგიყვანათ!

● ფირცხალავა, უიშვიათესო არაკაცო, შენ ხარ მკვლეელი!!! (დღევანდელ კოშმარს არ ვგულისხმობ, მაგას გამოძიება დაადგენს და იმედი მაქვს ძალიან მალე). წადი და მიჩივლე ახლა კაცის პროვოკაციავ!

● წავშალე წინა სტატუსი დაწვერე – უსწრაფესად და უმკაცრესად დაისაჯონ იური ვაზაგაშვილის მკვლელები და დამკვეთები-მეთქი. პოდა წავიდაა „ოცნების“ ლანძღვა, ნაციონალების გაპრავება და პირიქით! რა გჭირს ხალხო???? რამე ადამიანური დიატოვეთი კაცი შვილის საფლავზე მოკლეს და პოლიტოლოგობის დროა?

● დარჩიაშვილს მიუცია ერთ-ერთი ბალტიისპირული გაზეთისთვის ინტერვიუ. თუ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები არ გაყალბდა, ნაციონალიზმმა დაბრუნდება ხელისუფლებაში, ხოლო თუ გაყალბდა, მაშინ რევოლუციური პროცესებს დაიწყო და მაინც დაგბრუნდებითო <<< უნდა დაარღვიო და ძაფად შეინახო.

● წავედი საშოვარზე! საინფორმაციო საიტებზე, რამე ნაციონალების გულისგასახეთი უნდა მოვიძიო.



© კანონმდებლები

დეპუტატების ნაწილი ქალაქების „თავებს“ ითხოვს, ნაწილი – ამბრაზურად ეფარება

პარლამენტში ზურა და იური ვაზაგაშვილების საქმეებზე ქალაქის უწყებების წარმომადგენლების დაბარება შესაძლოა, ფრაქცია „ქართულ ოცნებაში“ განხეთქილების მიზეზი გახდეს. დეპუტატთა ნაწილი უწყებაში შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მთავარი პროკურატურის ხელმძღვანელებს იბარებს, მეორე ნაწილი კი, ამის წინააღმდეგაა.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის დახურულ სხდომაზე ქალაქების მისვლას თამარ კორძაია, ზაქარია ქუცნაშვილი და ანი მიროტაძე ითხოვენ, მათ საპასუხო კი, ეკა ბესელია, ირაკლი სესიაშვილი, მანანა კობახიძე და გია ვოლსკი აცხადებენ, რომ ისინი პარლამენტში სამართალდამცავების მისვლის აუცილებელ მიზეზს ვერ ხედავენ და ჯობს, დეპუტატებმა ქალაქებზე საგამოძიებო მოქმედებების წარმართვის საშუალება მისცენ.

როგორც for.ge-ს ზაქარია ქუცნაშვილმა განუცხადა, იურიდიულ საკითხთა კომიტეტი უფლებამოსილია, რომ პროკურატურას ჰკითხოს, საგამოძიებო მოქმედებები როგორ მიმდინარეობს. მისი თქმით, პარლამენტს უფლება აქვს, გამოძიების პროცედურულ ნაწილში ჩაერთოს და არა შინაარსში.

კორძაია მიიჩნევს, რომ იური ვაზაგაშვილის მკვლელობის საქმე ხელისუფლების ყველაზე მაღალი პასუხისმგებლობის საკითხია და პარლამენტმა თავისი უფლებამოსილების ფარგლებში კონტროლი უნდა განახორციელოს.

კორძაია ქუცნაშვილის მსგავსად, პარლამენტში დახურულ სხდომაზე ქალაქის უწყებების წარმომადგენლების მისვლას და საგამოძიებო მოქმედებების თაობაზე ინფორმაციის მიწოდებას ითხოვს.

for.ge-სთან საუბარში მიროტაძე აღნიშნავს, რომ დეპუტატები ინფორმაციას უნდა ფლობდნენ ვაზაგაშვილების საქმეებთან დაკავშირებით, თუ რა ხდება.

კორძაია-ქუცნაშვილ-მიროტაძის მსგავსად, ვაზაგაშვილების საქმეებთან დაკავშირებით კითხვები „თავისუფალ დემოკრატიას“ აქვთ. for.ge-სთან საუბარში გარემოს დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი ცაგარეიშვილი ინტერესდება, ზურა ვაზაგაშვილის საქმეს შინაგან საქმეთა სამინისტრო რატომ იძიებდა.

ცაგარეიშვილის ინფორმაციით, კორტებთან მოკლული ზურა ვაზაგაშვილის საქმეს გასული წლის სექტემბრამდე შსს იძიებდა და არა მთავარი პროკურატურა.

„გასული წლის სექტემბერში, პროკურატურამ დიდი ძალისხმევით შედეგად ეს საქმე შსს-ს ხელიდან გამოგლიჯა. მაინტერესებს, ამ საქმეს შსს რატომ იძიებდა და არა პროკურატურა? მესმის, რომ პროკურატურა ამ საქმის გამომძიებზე საპროცესო ზედამხედველობას აწარმოებდა, მაგრამ საგამოძიებო პროცესში უშუალოდ ჩართული რატომ არ იყო? ასევე კითხვა მაქვს, შსს-ში დღემდე ის ნაძირლები რატომ მუშაობენ, რომლებიც ადამიანებს ქუჩაში სოცავდნენ? მათ შორის, ზურა ვაზაგაშვილს! ამას გარდა, ის ნაძირლები რატომ არ არიან დასჯილები, რომლებმაც ზურა აბაშიძე სასიკვდილოდ გაიმეტეს? ეს ადამიანები შსს-სა და პროკურატურაში დღესაც ხომ არ მუშაობენ? სამართლიანობის აღდგენის პროცესი რატომ შეფერხდა? ამ კითხვებს უმრავლესობაში ვსვამდით, მაგრამ გვეუბნებოდნენ, გვადროვეთ და რაღაც კომისიებს შევქმნიოთ, მაგრამ მსგავსი არაფერი მოხდა. საქმეები მკვდარი წერტილიდან არ დაძრულა და ხელისუფლებას პასუხების გაცემა მოუწევს“, – აცხადებს ცაგარეიშვილი, რომლის მსგავსად ხელისუფლებას მისი თანაგუნდელი ნინო გოგუაძე მკაცრად აკრიტიკებს.

როგორც for.ge-ს გოგუაძემ განუცხადა, იური ვაზაგაშვილის მკვლელობა ძალიან რეზონანსულია და ეს ყველა ადამიანის შემოთქმებას იწვევს. მისი თქმით, ხელისუფლების ვალაა, გამოძიებას ხელი შეუწყოს, რად-



გან შეიძლება, იური ვაზაგაშვილის საქმემ ქვეყანაში უმართავი პროცესები გამოიწვიოს.

თანაფრაქციელებისგან განსხვავებით, უმრავლესობის ლიდერი დავით საგანელიძე პარლამენტში ქალაქის მკვლელობის სახით გაუგონარი ფაქტი მოხდა. დეპუტატი for.ge-სთან საუბარში აღნიშნავს, რომ საგამოძიებო პროცესზე კანონმდებლებს მაქსიმალური ინფორმაცია უნდა ჰქონდეთ.

საგანელიძის განცხადებით, ქვეყანაში იური ვაზაგაშვილის მკვლელობის სახით გაუგონარი ფაქტი მოხდა.

„არ გამიგია, რომ მამა შვილის საფლავზე ააფეთქონ. საქართველოში ეს ვის ავადმყოფ თავში მოიხარშა, ამის წარმომადგენაც არ მინდა. კოლეგების პათოსი მესმის და შესაძლებელია, საკითხზე კომიტეტის სხდომა გაიმართოს“, – აღნიშნავს საგანელიძე, რომლისგან განსხვავებით, თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი ამ ეტაპზე, პარლამენტში ქალაქების მისვლის წინააღმდეგაა.

როგორც for.ge-ს სესიაშვილმა განუცხადა, რაღაც ეტაპამდე ინფორმაცია უნდა დაგროვდეს.

მისი მოსაზრებით, უმჯობესია, ამჟამად სამართალდამცავებმა იმუშაონ და რაღაც კვალი გამოიკვეთოს.

მანანა კობახიძე აღნიშნავს, რომ პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილსა და მთავარ პროკურორ გიორგი ბაღაშვილს შორის შეხვედრა შედგა და ეს დასტურია იმისა, რომ პარლამენტი მაქსიმალურად იქნება ჩართული ამ პროცესებში.

დეპუტატის თქმით, პროკურატურამ გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, საზოგადოებას ინფორმაცია უნდა მიანდოს, თუ რა ვითარებაა.

ვიცე-სპიკერის მსგავსად, ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე გია ვოლსკი პარლამენტში სამართალდამცავების დაბარების მომხრე არ არის და უფრო მეტიც, ის აცხადებს, რომ არ ეთანხმება იმას, რომ პარლამენტმა შსს, პროკურატურა, სასამართლო უნდა ჩაანაცვლოს და კომისიები შექმნას.

ვოლსკი მიიჩნევს, რომ ქვეყანაში ადგილი არაფანსალ პოლიტიკურ სპეკულაციებს აქვს.

„თუ ეს წინადადება მით უმეტეს ნაციონალების მხრიდან მოდის, ეს სპეკულაციაა. ეს ყველაფერი მიზნად საზოგადოებაში სტრესული სიტუაციის შექმნას ემსახურება. სამოქალაქო საზოგადოებასა და ქვეყნის სტაბილურობაზე უნდა ვფიქროთ“, – აღნიშნა ვოლსკი.

პარლამენტში შსს-სა და პროკურატურის წარმომადგენლების მისვლას მიზანშეწონილად არ მიიჩნევს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია.

ბესელია აცხადებს, რომ მას შსს-სა და პროკურატურის ხელმძღვანელებთან კომუნიკაციის პრობლემა არ აქვს.

დეპუტატთა ნაწილის მსგავსად, რესპუბლიკელი თინა ხიდაშელი მიიჩნევს, რომ იური ვაზაგაშვილის საქმესთან დაკავშირებით პარლამენტში ამ ეტაპზე სხდომის ჩატარება არასწორია.

როგორც for.ge-ს ხიდაშელმა განუცხადა, ასეთი სხდომის ჩატარებას წინ არაფერი უდგას და ბევრ ქვეყანაში ეს დემოკრატიასთან თავსებადი პროცესია.

მართალია, ამ მოწვევის პარლამენტში ნაციონალების დამკვიდრებული მანკიერი ტრადიცია დაირღვა და უწყებას ქალაქის მინისტრები რამდენჯერმე ეწვიენ, მაგრამ უკვე დიდი ხანია, რაც უმცირესობის არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, საკანონმდებლო ორგანოში შს მინისტრი ალექსანდრე ჭიკაძე არ ცხადდება და იმედია, ნაციონალების ტრადიცია ისევ არ აღსდგება.

თეონა მანაბაძე

© ალიან-ჩალიანი

ჩუხაძის სხელმწიფო დუბამ ჩუხაძისა და აფხაზეთის შორის ე.წ. შეთანხმების რატიფიკაცია მოახდინა

რუსეთის სახელმწიფო დუბამ რუსეთისა და აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკას შორის სტრატეგიული შეთანხმების რატიფიკაცია მოახდინა. ინფორმაციას ამის შესახებ რუსული მედია ავრცელებს.

არსებული ინფორმაციით, რატიფიკაციას მხარი დაუჭირა 441-მა დეპუტატმა ერთი წინააღმდეგ, ერ-

თმა დეპუტატმა კი ხმის მიცემისგან თავი შეიკავა.

ე.წ.მოკავშირეობისა და სტრატეგიული თანამშრომლობის ხელშეკრულებას რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა და აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტმა რაულ ხაჯიმბამ გასული წლის 24 ნოემბერს მოაწერეს ხელი. შეთანხმების ერთ-

ერთი დებულება ერთიანი შეიარაღებული ძალების შექმნასა და საქართველოსთან ე.წ. საზღვრის ერთობლივ დაცვას ითვალისწინებს.

ე.წ. შეთანხმებაში ასევე აღნიშნულია, რომ შეთანხმების თანახმად, ერთ მხარეზე თავდასხმა მეორე მხარეზე თავდასხმად განიხილება.

ინტერპრესი

© ბანკი თუ ბიზნესი?

იპოთეკური სესხით დაზარალებულთა რაოდენობა 2 000-ს გადააჭარბა

მას შემდეგ, რაც საბანკო სექტორმა იპოთეკური სესხების გაცემის პირობები გაამკაცრეს, მსესხებლების დიდმა ნაწილმა კერძო იპოთეკარებს მიმართა. თანხის მისაღებად ისინი მზად არიან იმ კაბალურ პირობებს დათანხმდნენ, რასაც მეფასეები სთავაზობენ. ხშირად სესხის დაფარვას ვერ ახერხებენ და სახლთან ერთად პროცენტებში გადახდილ თანხასაც კარგავენ. სამწუხაროდ, არაერთი შემთხვევა გვახსოვს, როცა იძულებით გამოსახლებას ადამიანის სიცოცხლეც შეენირა. წინასახალწოდ შეჩერებული გამოსახლებები კვლავ განახლდა. ზუსტი სტატისტიკა იპოთეკით დაზარალებულთა შესახებ არ არსებობს. სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარმოებული მონაცემები კი არასრულია.

წინასაარჩევნო დაპირება, რომ მოხდებოდა იპოთეკით დაზარალებული პირების იძულებით გამოსახლების შეჩერება და კრედიტორებისთვის გრძელვადიანი, დაბალი საპროცენტო სესხის გაცემა – დაპირებად დარჩა. პარლამენტმა გამოსახლებების შესახებ საკანონმდებლო ინიციატივას მხარი არ დაუჭირა, ხისტი პოზიცია დააფიქსირა საბანკო სექტორმა. რა მდგომარეობაა ამჟამად იპოთეკურ სესხებზე, რატომ მიმართავენ მომხმარებლები კერძო იპოთეკარებს და რა განსხვავებაა ბანკის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და მეფასეების პირობებს შორის – ამის გარკვევას ხუბე შეეცადა.

საბანკო სექტორი მსესხებლის საკრედიტო ისტორიით, შემოსავლებით ინტერესდება. მსგავსი ვითარებაა მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში, თუმცა, აქ საკრედიტო შემოსავლების გადამონემა აუცილებელ პირობას არ წარმოადგენს. იპოთეკური სესხის ყოველთვიური საპროცენტო განაკვეთი 1,5% -2%- ის ფარგლებში მერყეობს. რაც შეეხება კერძო იპოთეკარებს, ისინი იპოთეკურ სესხს თვიურ 3%-3,5%-ში გასცემენ. სესხის გასაცემად საკმარისია ბინის მესაკუთრეობის დამადასტურებელი დოკუმენტი. ბანკისგან განსხვავებით, სახლის იპოთეკით დატვირთვა მისი ღირებულების მესამედ ფასში ხდება. ერთი სიტყვით, გაჭირვებული ადამიანი იძულებულია მეფასის მიერ შეთავაზებულ კაბალურ პირობებს დათანხმდეს, რაც ხშირად ერთადერთი საცხოვრებლის დაკარგვით სრულდება.

მოიმატა თუ არა კერძო მეფასეებთან მომართვიანობა? – ამ კითხვით უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის ოფისებს მივმართეთ, რომელთა უმრავლესობა კერძო იპოთეკურ საქმიანობას ეწევა. „ვერ ვიტყვი, რომ ძალიან მოიმატა, თუმცა, არც ნაკლებობაა. დღეს დანაზოგი იშვიათად აქვს ვინმეს, ამიტომ მოულოდნელი გაჭირვების დროს ზოგი იძულებულია სახლი იპოთეკით დატვირთოს. ზოგს ბიზნესის წამოწყება უნდა და ბინას იპოთეკით ამიტომ ტვირთავს. ზოგი ბანკის შავ სიაშია მოხვედრილი და სესხს აღარ აძლევენ. თანაც ბანკში ბევრ საბუთს ითხოვენ. ჩვენთან მოდიან, რადგან სესხის გასაცემად საკმარისია ბინის მესაკუთრეობის ცნობა მოიტანონ. სხვა არ გვანტერესებს“, – გვითხრეს ერთ-ერთ ასეთ დანესებულეში.

სამწუხაროდ, კერძო მეფასეს თვითნებობა კანონით შეზღუდული არ არის. გამოსახლების პროცესი სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე, პოლიციის ჩარევით მიმდინარეობს. დაზარალებულს კონსტიტუციით მინიჭებული უფლება სამართლიანი სასამართლოთი ისარგებლოს, არ აქვს. ამასთან დაკავშირებით, არასამთავრობო ორგანიზაციამ „თანადგომა და სამართლიანობა“ საკანონმდებლო ინიციატივა შეიმუშავა, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე გამოსახლებას ითვალისწინებს. კანონპროექტმა სამი საკომიტეტო მოსმენა უკვე გაიარა და მოწონებაც დაიმსახურა. პარლამენტის პირველივე სასესიო კვირას კანონპროექტის განხილვა იგეგმება. ინიციატორები იმედოვნებენ, რომ პარლამენტი ამ კანონს დაამტკიცებს.

არასამთავრობო ორგანიზაცია „თანადგომა და სამართლიანობის“ დირექტორი ნანა ქადაგიშვილი, bpn.ge-თან საუბარში ამბობს, რომ მათი ორგანიზაციის მიერ ჩატარებული სტატისტიკის თანახმად, საქართველოში იპოთეკური სესხით დაზარალებულთა რაოდენობამ 2 000-ს გადააჭარბა. ცხადია, ეს არასრული სტატისტიკაა. სავარაუდოდ, ეს რიცხვი გაცილებით მაღალია – „მართალია, ბანკებმა გაამკაცრეს სესხის გაცემის პირობები, მაგრამ პროცენტები უფრო დაბალია, თუმცა, ხალხი მაინც მეფასეებთან მიდის, რადგან ისინი ყოველგვარი გადამონეების გარეშე იძლევიან სესხს. 2006-2007 წლებში მაშინდელმა ხელი-სუფლებამ კანონმდებლობაში ბევრი არასასურველი რეგულაცია შეიტანა, რაც სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებებშია გათვალისწინებული. გამსესხებელს ბევრად მეტი უფლებები აქვს, ვიდრე მოვალეს. შესაბამისად, მათი დაცვის მექანიზმებიც ძალიან მცირეა. გამოსახლება სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე მიმდინარეობს. ამიტომ, გამოვედით ინიციატივით, რომ გამოსახლება სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე მოხდეს. მხარეს საშუალება ექნება სასამართლოში იდავოს, დაიბარუნოს ან გამოისყიდოს საკუთარი სახლი. ასევე, ვითხოვთ, რომ ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად დაზარალებულებზე გრძელვადიანი, დაბალპროცენტიანი სესხები გასცენ, რომ ეს თემა საბოლოოდ დაიხუროს,“ – ამბობს ნანა ქადაგიშვილი.

სალომე გოგოშია

ორი წელია, ვუსმენ და ვაკვირდები ამ ჩემთვის აშკარად გაუგებარ წარჩინებულს, ერთი-ორჯერ რამდენიმესთან გა-მოლაპარაკებაც ვცადე, ეგებ რამე გაგუ-გო-მეთქი, რა გჭირთ, რა გეშინიათ, ნუთუ ამდენი ლანძღვა-გინება თავად ღირსებას გამატებთ-მეთქი, აბა, თქვენ რომ ზანგებს აწვალბებთ?! დაახლოებით ამ ტიპის პასუხი გამცეს და მიხვედოდა, რომ ამოად ვირჯებოდი. მალევე ავიღე ხელი ამ აშკარად უმადურ საქმეზე. ბოლოს კი იმ დასკვნამდე მივედი, რომ, ამ ხალხს, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, უბრა-ლოდ სიმართლის სათქმელად საჭირო სიტყვების მწვავე დეფიციტი აქვთ, მხო-ლოდ სიცრუის სათქმელად საჭირო სიტყ-ვებით აქვთ ლექსიკა გადავსებული. ამი-ტომაც ცრუობენ დღე და ღამე.

ბოლო დროს ტაქტიკა შეცვალეს, ადრე თუ გაათვრებით იცავდნენ ყველაფერს, რა-საც ნაციონალური რეჟიმის მერალი სუნი ასდოდა, ახლა, აქა-იქ შეცდომებზე ალაპა-რაკდნენ, კი ბატონო, გეთანხმებით, გვქონ-და შეცდომები, მაგრამ, როდემდე შეიძლე-და ამაზე ილაპარაკოთო?!... როდემდე ბატო-ნებო და მანამდე, სანამ თქვენს სისხლიან რე-ჟიმს შეცდომას კი არა, რასაც იმსახურებს იმას არ დაარქმევთ, ანუ ჯალათობას, ერთ-მანეთს კი ჯალათებს.

რაც შეეხება შეცდომებს, სააკაშვილ-მა რომ ოდესღაც აეროპორტში განცხა-დება დაწერა, შეცდომები იმ განცხადე-ბაში იყო. ორჯერ ორი ექვსიო ტელე-ეკრანზე რომ რამდენჯერმე სულელივით გაიმეორა, ესეც შეცდომა იყო. ახალცი-ხეში „ვეფხისტყაოსნიდან“ საზეპიროს თქმას რომ მონდომებით ცდილობდა და საცოდავმა ვერაფრით რომ ვერ გაარკ-ვია როსტომ მეფე მალაღი იყო თუ და-ბალი, ესეც შეცდომა იყო და ა.შ.

მაგრამ, ადამიანების წამებას, დასახიჩ-რებას, მკვლელობებსა და მსგავს სა-ზიზღრობებს რომ შეცდომად ნათლავთ, ამას როგორ ბედავთ, თქვე მართლა ნა-მუსგარეცხილებო?! ამაზე ლაპარაკის დასრულებას ითხოვთ?! თქვენი ბელადის საყვარელი ფრაზით გიპასუხებთ, „ნურას უკაცრავად“! დასრულება და დამთავრება კი არა, პირიქით, დღე და ღამე ამაზე უნ-და ვლაპარაკობდით, რადგან არც ჩვენ, არც თქვენ და არც უზენაესმა მსაჯულ-მა, ანუ ხალხმა, იგი არასოდეს არ უნდა დაივიწყოს.

საკაშვილის მოფიქრებულ ოკუპაციის მუზეუმსაც ახალი საგამოფენო დარბა-ზი უნდა დაემატოს თქვენი სისხლიანი შე-მოქმედების ექსპონატებით. იმ ფოტოე-ბით, რომელთა შესხედვა ყველა ნორმა-ლურ ადამიანს უჭირს. ყველაზე თვალ-საჩინო ადგილზე კი ფირნიში უნდა გა-ვაკრათ: საქართველოს ოკუპაცია ერთი-ანი ნაციონალური მოძრაობის მიერ, 2003-2012“. ასეთ ექსპოზიციას იმდენი დამთვალერივთელი ეყოლება, ქვეყნის არც ერთ მუზეუმს რომ დღემდე არ მო-ლანდებია.

ბატონ იაცეც სარიუმ-ვოლსკის კი პერ-სონალურად მოვიწვევთ სააკაშვილის „რანდული“ საქმეების უფრო ღრმად და საფუძვლიანად გასაცნობად, მერე კი შთაბეჭდილებების წიგნში ავტოგრაფის დატოვებასაც შევთავაზებთ.

ზემოთ რომ დაგპირდით, თუ მყვირა-ლა დეტალებს შემომაშველებთ, ყველას მოვუძებნი ადგილს-მეთქი, სწორედ ამ მუზეუმს ვგულისხმობდი.

შესაძლოა, ვინმე შემომედაოს, აბა ამ ჯა-ლათების მუზეუმში რა უნდა, სასამართლო-ში ბრალდებულის ძელზეა მათი ადგილი. კი ბატონო, მაგრამ, ისინი ხომ ერთმანეთს ხელს არ უშლიან, პირიქით, ნაციონალების განსაკუთრებულობას უსვამენ ხაზს. მათი განსაკუთრებულობა კი ზუსტად მათი ჯა-ლათობაა.

საკაშვილისა და ქვეყნიდან გაქცეუ-ლი მისი საცეცების გარდა, სხვა წარჩი-ნებულები რომ გვარ-სახელით არ მისხე-ნებია, ამასაც მიაქცევდით, ალბათ, ყუ-რადლებას. ახლავე აგისსნით, ისინი წარ-ჩინებული ნაციონალები კი არიან, მაგ-რამ არამც და არამც წარჩინებული პი-როვნებები. ცალ-ცალკე, არც ერთი მათ-განი არაფრად არ ღირს, მხოლოდ ერთად არიან „მაგრები“. ამიტომ, ამ ხალხზე, რო-გორც ზოგად მოვლენაზე, ისე უნდა ილა-პარაკო. კაცთან-დედაკაცთანად ერთნაი-რია ყველა, მხოლოდ სახეები აქვთ სხვა-დასხვა. ერთი ლაპარაკობს, მაგრამ ყვე-

ლას აზრს ახმინებს. ერთი გაგინებს და ყველა იმავეს ფიქრობს. უნისონში ლაპა-რაკი და გინება ჯერ ვერ ისწავლეს, რე-პეტიციები სჭირდებათ, ამიტომ, სა-ლანძღავებს წინასწარ ინანილებენ, შენ, ტრადიციულად ბიძინაზე ილაპარაკებ, შენ, ყელმოღერებულ პრემიერ-მინისტრ-ზე, შენ, ჭიკაძე რომ არ მოდის იმაზე და რუსეთის აგენტობის სსენება არ დაგა-ვინწყდით, ჰო, ზვიგენიც უეჭველად უნდა ახსენოთ.. მოკლედ, ძალიან საინტერესო ცხოვრება აქვთ, უნდა ინატრო კაცმა.

ერთმანეთის გარეშე რომ უსუსურები არიან, ამას ქვეშევსეულებად თავადაც გრძნობენ, ამიტომ მუდამ ერთად ყოფნას ცდილობენ, იშვიათად რომელიმეს გან-ცალკევებით მოჰკრა თვალი, სასესიო დარბაზშიც ჯგროდ შემოდიან, მერე, უეცრად, გადამფრენი ფრინველებივით ერთდროულად წამოიშლებიან და ასევე ჯგროდ გადიან. სასადილოშიც კი ყველა ერთად შედის, ერთდროულად შიგვდება ხოლმე, მაგიდები აქვთ შეერთებული, ყვე-

ერთ ადგილზე ჰკიდიათ. ამ იმპულსის გამო ეზიზღებათ ბიძინა ივანიშვილი, რადგან, ჩვენი კოალიციის თუ კოალიციიდან გასუ-ლი ზოგიერთი წევრისგან განსხვავებით, ისინი არასოდეს იფიცებენ, რომ, მათი მთა-ვარი იმპულსის სამუდამო დასამარებაში მხოლოდ და მხოლოდ ივანიშვილია დამნა-შავე.

ამიტომ შეიზიზღეს იგი, თორემ იყო დრო, მზე და მთვარე ამოსდიოდათ. მანდ რომ კიდეც გაყავთ ერთი მიშა, მგონი, ბა-ტონი ბიძინას თანასოფლელი და დიდ მი-შაზე ნაკლებად წარჩინებული, მაგას მა-ინც ჰკითხეთ რამდენი მილიონი აქვს გა-მორთმეული იმ კაცისთვის, დღეს რომ ასე გეზიზღებათ.

მათემატიკაში არის მოცემულობა, რო-მელსაც დამტკიცება არ სჭირდება – აქსი-ომა. ბიძინა ივანიშვილს რომ თავისი ხალხი უსაზღვროდ უყვარს, ესეც ცხოვრებისეუ-ლი აქსიომაა. დამტკიცება აღარ სჭირდება. თუ რატომ, ამას აგისსნით, ოღონდ უფრო იქით, დამთავრებისკენ. აქ კი, მხოლოდ იმას

დადით, აკვარიუმი დაასვენეთ და დელ-ფინარიუმს მიაკითხეთ. იქ ხომ უამრავი დელფინი დაცურავს, თანაც, მხოლოდ ზვიგენზე კი არა, ზოგი თქვენზე ჭკვია-ნიცაა და ხანდახან იმ დელფინებზეც თქვით რამე, ისინიც ხომ ბიძინა ივანიშ-ვილის ახირებაა. ანდა ხმელეთის ცხოვე-ლებით რატომ არ ინტერესდებით?! ვთქვათ, კახეთში, ალაზნის ქალებში რომ ირმები მომრავლდა, ესეც ხომ ბიძინას ბრალია, თქვენ კი დღემდე, ამაზეც არა-ფერი გითქვამთ. შვლები?! იმერეთის ტყე-ებში რომ შვლები გაუშვა?! მიდით, რა-ტომ გერიდებთ, გაიფართოვეთ დიაპა-ზონი, თორემ, მხოლოდ ზვიგენი და ზვი-გენიო, რომ ამოიჩემეთ, იქნებ ფსიქოლო-გი გჭირდებათ და თქმა გერიდებათ? მყავს ერთი ნაცნობი ფსიქოლოგი, ძირი-თადად თქვენი ხელისუფლების ტოტალუ-რი ძალადობის მსხვერპლთა ოჯახებში დადის უანგაროდ და ფსიქოლოგიური ტრავმის მქონე ადამიანების რეაბილიტა-ციას ცდილობს. სთხოვეთ, არა მგონია,

ბრაბეღია – თანაგედროვე მენეჯერული აზროვნება



„არ გათვრდების ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითა“. ხალხური

ლა იქ იყრის თავს და ერთად მიირთმე-ვენ. ღმერთმა შეარგათ.

ასეა მოკლედ მათი საქმე, სიმღერა რო-მა, შენ ჩემი ხარ, მე შენო, იმ სიმღერა-დებით აქვთ აწყობილი ცხოვრება. ბიძინა ივანიშვილიც კოლექტიურად ეზიზღე-ბათ, კოლექტიურად ცრუობენ, კოლექ-ტიურად ილანძღებიან, კოლექტიურად იგესლებიან, კოლექტიურად წამლავენ გარემოს, კოლექტიურად ანერვიულებენ ხალხს, მაგრამ, ყველაზე ამაზრზენი ამ ლანძღვა-გინების კოლექტიურობაში ისაა, რომ ყველაფერს ქვეყნის სიყვარუ-ლად ნათლავენ.

როგორ არ გავიხსენო აქ ის ცნობილი ფრაზა, ნაძირლების უკანასკნელი თავ-შესაფარი პატრიოტიზმიო.

გვითხარით ბატონო ამბრეაზ ბირს, როცა ამ უკვდავ სიტყვებს ამბობდით, ჩვენი წარჩინებული ნაციონალების მსგავს ხალხს ხომ არ გულისხმობდით?! იყო დრო, მეც მიყვარდა ლამაზ ფრა-ზებთან ლაცეცე. ცხოვრება ერთი დიდი იპოდრომი, რომელზედაც ჩვენზე ამხედ-რებული იმპულსები გვაჯირითებენ-მეთ-ქი, ვთქვი ერთხელ.

თუ დაუვკვირდებით, მართლაც ასეა, ჩვენი ნებისმიერი ქმედების უკან ხან პირ-გამეხებული იმპულსი დგას, ხანაც ოდ-ნავ მფეთქები, რადგან ჩვენს სამყაროში რაც ხდება, ყველაფერი პოტენციური იმ-პულსია. საყელოში ჩავარდნილ წყლის წვეთსაც შეუძლია იმპულსი გაგჩინოს და სხვის აკვარიუმში მოცურავე ზვიგენ-საც.

ვიკითხოთ ახლა, რა უნდათ ამ ნაციონა-ლებს და რომელი იმპულსი ჰყავთ შემოქ-დარი ბეჭებზე? რომელი და მუდმივად ხე-ლისუფლებათუც ყოფნის იმპულსი, ეგაა და ეგ. ყველა მათი ქცევა ამ იმპულსის ბრალია, თორემ სამშობლო, გითხარით უკვე, სულ

ვითყვი, რომ, ქვეყნისა და ხალხის წინაშე მი-სი ჭეშმარიტი ღვაწლის შეფასებას, ჩვენ, მი-სი თანამედროვენი, სრულყოფილად ვერ შევძლებთ. შეუძლებელია ხეოფსის პირამი-და 2 მეტრიდან შეაფასო, უნდა მოცილდე და შორიდან შეხედო. ბიძინა ივანიშვილის გაკეთებული საქმეების შეფასებასაც მანძილი სჭირდება, რომელსაც დრო და სივრცე განსაზღვრავს. ამიტომ, გირჩევთ, მის გადაჭარბებულ ქება-დიდებასაც დავა-ნებოთ თავი და მით უმეტეს ლანძღვა-გინე-ბას. ეს საქმე მომავალს მივანდოთ. დღეს კი ისიც საკმარისია, წელან გაუღერებელი ცხოვრებისეული აქსიომა ვირწმუნოთ, ბიძინა ივანიშვილს თავისი ხალხი და ქვეყა-ნა მართლაც ცრემლებამდე უყვარს და სი-ცოცხლის ბოლომდე სურს მათი სამსახური.

ეს რომ ასეა, მგონი, იმ ზვიგენმაც გა-იგო უკვე, ბიძინა ივანიშვილის აკვარი-უმში რომ დაცურავს და თქვენ რომ გყავთ ამოჩემებული. იმდენჯერ ახსენა ის ზვი-გენი ნათხოვარი ხმით რომ უყვარს ლა-პარაკი იმ წარჩინებულმა ქალბატონმა ნა-ციონალმა, რომ გაღიზიანების ნაცვლად საერთო მხიარულებას იწვევს უკვე. სხვა-თა შორის, იმ აკვარიუმში თქვენს მიერ ამოჩემებული ზვიგენის გარდა, კიდეც ბევრი ვინმეა საინტერესო, თუნდაც ზღვის კატა. ისეთი ლამაზია, თვალს ვერ მოაწყდებ. უმთვარო ღამესავე შავი, ზურგზე კი ვარსკვლავებივით პატარ-პა-ტარა მანათობელი წინწკლები აქვს მი-მობნეული, წყალში შემთხვევით ჩავარ-დნილ ღამეული ცის პატარა ნაფლეთს ჰგავს. გაშლის თავის უზარმაზარ ფრთებს და გრაციოზულად დაფრინავს წყალში. წარმოუდგენელია არ მოიხიბ-ლო. ჰოდა, რაღა იმ უბედურ ზვიგენს და-დავით კბილი ზვიგენივით, იმ ზღვის კა-ტაზეც თქვით რამე. მიდით, მიდით, ნუ გე-რიდებათ. ანდა ცოტა ხნით ბათუმში გა-

უარი გითხრათ. ამას წინათ ვკითხე, რო-გორ არიან შენი პაციენტები-მეთქი და ისინი კი გამომყავს ნელ-ნელა სტრესი-დან, მაგრამ, ისეთ საშინელებებს კისმენ, უკვე მე მჭირდება ფსიქოლოგი.

თქვენ რომ ამ ბოლო დროს შინაგან საქ-მეთა მინისტრი ამოიჩემეთ, შეკითხვები გვაქვს მასთან და უმცირესობასთან გა-მოცხადდესო, გირჩევთ, ჯერ იმ ფსიქო-ლოგს შეხვდეთ და მას მოუხმინოთ, იქ-ნებ ჭიკაძესთან შეხვედრის სურვილი სა-ერთოდ გაგიქრეთ, იქნებ მონასტრის გზა მოიკითხოთ და მოინანიოთ.

ბატონ ჭიკაძეს კი ვურჩევ, რეგლამენ-ტის მიუხედავად, არ შეგხვდეთ, რადგან, თქვენ ხომ მას მხოლოდ მასხრად ასაგდე-ბად იბარებთ და არა საქმიანი საუბრის-თვის. ადამიანის ღირსების შემლახავი სპექტაკლის დადგმას აპირებთ და რო-ლებსაც ინანილებთ, ესაა თქვენი ნამდ-ვილი მიზანი, ამას არც მალავთ და წი-ნასწარ ხელებსაც კი იფშენეთ მოსა-ლოდნელი მხიარულების გამო. და, ეს ყვე-ლაფერი იმიტომ, რომ იმ ადამიანს თქვენ-სავით მხარზე არა აქვს გადაებული ენა და თავისი საქმის კეთებას ჩუმიდაც ახერ-ხებს.

თუკი ასე არაა და თუკი მართლა გაქვთ კითხვები, ჩამოწერეთ ბატონო და უმცირ-ესობის ის ღირსეული წევრები შეახ-ვედრეთ, ადამიანს უღირსად რომ არასო-დეს მოექცევიან. გაინტერესებთ, ალბათ, ვის ვგულისხმობ და, ალბათ, იმაზეც მარ-ჩიელობთ, ნუთუ ასეთი ხალხიც გყავსო.

გყავთ, ბატონებო, გყავთ და ამ სტატი-აში თავმოყრილი არც ერთი ის სიტყვა, რომელიც თქვენი სიბინძურების სამზე-ოზე გამოტანისთვის დამჭირდა, იმ ღირ-სეულ ხალხს არ ეკუთვნის. ბარემ ზოგი-ერთს ვახსენებ კიდეც, ვთქვათ ბატო-ნი ტარიელ ლონდარიძე, ბატონი ვაჟა ჩი-ტაშვილი, ბატონი ნაული ჯანაშია, ბატო-ნი მიხეილ მახარაძე, ნამდვილად არ არიან თქვენსავით გარეჩნები. ლევან ბეჟაშ-ვილსაც არ უჩანს თითქოს ცუდი პირი, ყოველ შემთხვევაში, სხვებივით არ ილანძღება, თუმცა, მას ხომ დღემდე მო-გელაძის ოინებით აქვს ჯიბეები ამოვსე-ბული და რატომღაც მათ ამოყრას არ აპი-რებს. არც სახეზე მუდმივად ღიმილიმკე-რებული ყოფილი პარლამენტის თავმჯ-დომარე ტოვებს მთლად უსიამოვნო შთა-ბეჭდილებას, რომ არა კიდეც ერთი ხარ-იერმივით მყვირალი დეტალი. დეტალი, რომელიც ზემოთ გამომრჩა და რომელიც ისეთი მძაფრი ყვირილით მოსდევს მას, რომ უკვე ხმაც ჩაეხლიჩა. აი, ყოფილი თავმჯდომარე კი, რატომღაც არ ჩქარობს და არაფრის თქმას არ აპირებს. არადა, სულ სამად სამი პასუხი აქვს ჯერ ხალ-

© სატრანსპორტო თემის გაგრძელება

4. სასოგახის დასოგახი ყველა თაჟისი ნვლილი უნდა შეიზანოს

სარედაქციო ფოსტა მონაშობს, რომ სატრანსპორტო პრობლემა თბილისელთათვის ერთ-ერთი დიდ „თავის ტკივილად“ ქცეული, რადგან სატელეფონო ზარები და წერილები ამასთან დაკავშირებით გამუდმებით შემოდის. წინა პუბლიკაციებში უკვე გვქონდა ლაპარაკი ბევრ მათგანზე და ისიც აღვნიშნეთ, რომ ზოგიერთს მერიის ხელმძღვანელობამ და სატრანსპორტო სამსახურმა ყურადღება აუცილებლად უნდა მიაქციოს, ზოგიერთი კი, უკაცრავად და, ცოტა არ იყოს, სასაცილოც კია, ამდენად მათ სერიოზულად განსივსებენ ლაპარაკი არ არის. ამ ჯერზე ჩვენი რესპონდენტიც ცნობილი ეკონომისტი, საზოგადოებრივ-საინფორმაციო გაზეთის „თანადგომის“ რედაქტორ-გამომცემელი ანზორ ბაბუშაშვილი.



— ვერაფერს მატყობ, როგორი მოსვენებული და ბედნიერი ვარ, თანაც რა მიზეზით, არ გაინტერესებს? — მკითხა ერთ დილას რედაქციაში მოსულმა ბატონმა ანზორმა. — რატომ და მანქანა გაცივდე და ახლა დავმშვიდდი, რომ საჭესთან დაჯდომა და წასვლა-წამოსვლა აღარ მიწევს ამ გაუთავებელ საცობებში! — მითხრა კმაყოფილმა, თან დაეყოლა: — ამ ბოლო დროს რამდენიმე წერილი რომ გამოაქვეყნეთ თბილისში სატრანსპორტო პრობლემასთან დაკავშირებით, ზოგი მოსაზრება მეც მაქვსო.

რამდენიმე დღის წინათ კი, შეთანხმებისამებრ, ჩვენი საკმაოდ ხანგრძლივი საუბარიც შედგა.

— ჩემი აზრით, თბილისში ტრანსპორტის მოძრაობის მოწესრიგების, სატრანსპორტო საცობებისა და შეფერხებების მთლად აღმოფხვრის თუ არა, ყოველ შემთხვევაში საგრძნობლად შემცირების ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობა ქუჩებში მსუბუქი ავტომანქანების, მათ შორის, მიკროავტობუსების შეჩერების, დგომის წესების აუცილებლად დაცვაა. ამის მისაღწევად რადიკალური ზომების გასატარებელი, რაც საპატრულო პოლიციამ უნდა განახორციელოს. დიდი პრობლემაა ავტოსადგომებზე ტროტუარების გადაქცევა, რის შედეგად ხშირად არა თუ საბავშვო და უნარშეზღუდულთა ეტლები, არამედ ზრდასრული, სავსებით ჯანსაღი ფეხით მოსიარულეების მოძრაობაც კი შეუძლებელია. ასეთი მდგომარეობა ყოველ დღე დაუშვებელია და სრულიად აუტანელი, საქმე ზოგჯერ კურორტამდე მიდის: ბოლო დროს ტროტუარზე თუ გასაჩერებლად სრულიად შეუფერებელ სხვა ადგილზე ავტომანქანის საქარე მინაზე მძღოლები უკმაყოფილო ფეხით მოსიარულეებს ცნობილი „ვალენტინების“ დარ ბარათებს უტოვებენ — „აქ ვმუშაობ“, „აქ ვცხოვრობ“, „ჯარიმა არ გამოიმინეროთ, თორემ დედას...“ და ა.შ.

ვერაფერს იტყვი კაცი, ვის როგორც ხელუწიფება, თავის მართლებას თუ აქეთ ჩვენ დაშინებას ისე ცდილობს. ამასთან დაკავშირებით ბატონმა ანზორმა კიდევ ერთი საგულისხმო აზრი გამოთქვა: ბევრი რამ ავტომფლობელის თუ მძღოლის შინაგან კულტურაზე და მოკიდებული, მაინცდამაინც აუცილებელი თუ არის, კაცი თავისი მანქანით ნაკლებად უნდა მოძრაობდესო.

ბატონი ანზორის თქმით, კარგა ხანია, დროა, ჩვენც ცივილიზებული ქვეყნების

ფერხულში ჩავდგეთ, მძღოლებს ავუჯრძალოთ მანქანის მართვისას თამბაქოს მონევა და მობილური ტელეფონით საუბარი. სავსებით ვეთანხმები ამ მოსაზრებას, რასთან დაკავშირებითაც ერთი ადრე წაკითხული ამბავი მახსენდება. ისრაელში, საავტომობილო ტრასაზე მოძრაობისას ერთ-ერთმა მძღოლმა მანქანა გააჩერა და ადგილობრივ რადიოსადგურში დარეკა. მან მსმენელებს პირდაპირ ეთერში უამბო, რომ ეს-ესაა მას გარკვეული მარკისა და სანომრე ნიშნის მქონე ავტომანქანამ ჩაუარა, რომლის მძღოლი მოძრაობისას მობილური ტელეფონით ლაპარაკობდა. რადიო-ჟურნალისტებმა მაშინვე პოლიციის უახლოეს განსეს შეატყობინეს, საგზაო მოძრაობის წესების დამრღვევი გააჩერეს და სოლიდური ჯარიმაც გამოუწერეს. შემდგომ კი ჟურნალისტებმა გაარკვიეს, რომ დამრღვევი... ისრაელის პოლიციის ერთ-ერთი მაღალჩინოსანი ყოფილა!

აი, რას ჰქვია კანონის უზენაესობა! როგორ გგონიათ, რამდენად შესაძლებელია ამ ვითარების ჩვენში განმეორება, პატივცემულო მკითხველო?..

— აუცილებელია ერთხელ და სამუდამოდ წესრიგის დამყარება სახელმწიფო ანუ საბიუჯეტო ავტომანქანების გამოყენების მხრივაც, — სავსებით სამართლიანად მიაჩნია ანზორ ბაბუშაშვილს. — ამ ავტომანქანების პარკი ძალიან დიდია ისევე, როგორც დიდია მათი საექსპლუატაციო ხარჯი, რომელიც მკაცრად უნდა იყოს რეგლამენტირებული. მეტიც: ამ ავტომანქანების მანქანები ამა თუ იმ სახელმწიფო უწყების მხოლოდ პირველ პირებს უნდა ემსახურებოდეს ზეგანაკვე-

სარგებლობაზე უარის მთქმელები არიან კი ან ჩვენი ჩინოსნების, ანდა პარლამენტარების „ახლობელ-მახლობლები“?

დედაქალაქში სატრანსპორტო რეგულაციის პრობლემათაგან ურთულესია ტაქსის მძღოლთა თემა. ქვეყნის ეკონომიკის ნგრევის პირობებში, მოსახლეობის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის, მაღალი კვალიფიკაციის მქონე სხვადასხვა პროფესიის ინჟინრები და ტექნიკოსები, მეცნიერ-მუშაკები, პედაგოგები, სხვები ლუკმა-პურის საშოვნელად და ოჯახების სარჩენად თვითდასაქმების გზას თვადგენენ. ყველაზე იოლი და ბევრისთვის ადვილად ხელმისაწვდომი კერძო ტაქსისტობა გახდა. ამდენად, ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, დედაქალაქში ესოდენ მომრავლებული და ხშირად, მეტად თვითნებურად მოძრავ ამ, ასე ვთქვათ, „ველურ ტაქსისტთა“ პრობლემისადამი კარგად გააზრებული და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ფაქიზი მიდგომაა საჭირო. მასში ხელოვნური, მოუფიქრებელი ჩარევა შეიძლება გარკვეული საპროტესტო ტალღის აგორების საფუძველი გახდეს, რაც ისედაც საკმაოდ არასახარბიელო სოციალურ ფონს კიდევ უფრო მეტად დაამძიმებს.

— პრობლემის გადაჭრა, თანდათანობით, ეტაპობრივი დარეგულირებით, ამ ადამიანების მხოლოდ დასაქმების პარალელურად უნდა მოხდეს, — თვლის ბატონი ანზორი. — ამასთან, ხაზგასმით მინდა, აღვნიშნო, რომ სხვადასხვა რანგის მოხელეთა ერთი ნაწილის „იდეა“ თითქოსდა „ტაქსისტების“ პრობლემების გადანეწევა ავტომანქანების ტექნიკური დათვალიერების ახალი, მკაცრი ნორმების შემოღებითაა შესაძლებელი, სრული აბსურდია!

მინდა მჯეროდეს, რომ საქართველოშიც ოდესმე დადგება დრო, როცა ჩვენს მიერ არჩეული პარლამენტის წევრებს, სხვადასხვა მაღალი რანგის ჩინოსნებსა და, თქვენ წარმოიდგინეთ, სხვადასხვა ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციის ერთობ გადიდვაც კი, რიგითი მოქალაქეები ხშირად იხილავენ საზოგადოებრივ ტრანსპორტში.

და კიდევ ერთი. სრული პასუხისმგებლობით მაქვს პრეტენზია განვაცხადო, რომ ზემოაღნიშნული პრობლემების გადაჭრის წინადადებები მართლ სურვილების დონეზე არ უნდა დარჩეს. დე-

დაქალაქში სატრანსპორტო საკითხების გადაჭრით დაინტერესებულ ყველა მხარეს, ცხადია, საზოგადოებრივ საწყისებზე, როგორც რიგითი მოქალაქე, მზად ვარ, გვერდში ამოვუდგე და, შეძლებისდაგვარად, მონაწილეობა მივიღო სათანადო პროგრამების შედგენასა და რეალიზაციაში, — ეს გახლავთ ანზორ ბაბუშაშვილის მოქალაქეობრივი პოზიცია.

ოთარ ტურაბაშვილი.

გოლოთმის მამიერი. ბატონმა ანზორმა კიდევ ერთი საგულისხმო ამბავი მიაბო: თურმე საქალაქო ავტობუსების მძღოლებისგან არაერთგზის სმენია — ცხონებული რობერტ ნიკურაძე ცოცხალი რომ ყოფილიყო, ჩვენ ნაღდად გვეშველებოდაო. ბატონი რობერტ ნიკურაძე 90-იან წლებში თბილისის სატრანსპორტო სამმართველოს ხელმძღვანელი ყოფილა, რომელიც საქმეს დიდი წარმატებით უძღვებოდა. მაშ რა გამოდის — პრობლემის გადაწყვეტა სავსებით შესაძლებელია, მთავარია საამისო ნება, მონდომება და საქმის უნარიანი გაძლელა?!

თქვენ როგორ მიგაჩნიათ, ბატონებო? ო. ტ.

ხისთვის გასაცემი. გამოდი, შე კარგო ადამიანო, მოიცლე დროებით ეგ მუდმივმოქმედი ღიმილი და სერიოზულად აუხსენი ხალხს, მოხდა თუ არა თბილისის პარლამენტში ვანდალიზმი, ვინ ჩაიფიქრა იგი და ვინ გასცა ბრძანება. ნუთუ, ასე ძნელია ეს და ნუთუ აღარ დადგა ამის დრო და ჟამი?!

დარწმუნებული ვარ ვინმე ჩაილაპარაკებს ახლა, ნეტარ არიან მორწმუნენიო და კიდევ ერთხელ იტყვიან ჩემზე, მაგარი მიამიტიანო. რაცა ვარ, ესა ვარ, ბატონებო. ჩემი მეგობარი ბიძინა ივანიშვილივით მეც მჯერა ადამიანების და სამსუხაროდ არცთუ იშვიათად ორივე ვცდებით.

მორჩა, მალე ვამთავრებ, უამრავი რამ დამრჩა კიდევ უთქმელი და გულიც მწყდება, რომ ველარ ვასწარებ, მაგრამ ერთ მცირე წინასწარმეტყველებას მაინც მოვასწარებ. წარმომიდგენია, ამ წერილის ნაკითხვის მერე რა დაგეგმილი მეძებრებოთ შევარდებიან ნაციონალები ჩემს წარსულში სანადიროდ, ეგება, მთლად სიბიძხურე თუ არა, რამე წამოსაძახებელი მაინც მოინადირონ. ისიც კი ვიცო, პირველი ვინ შევარდება, ყველაზე მაგრადაა ადამიანების წარსულზე დაგეგმილი. მიდით, მიდით, წარმატებულ ნადირობას გისურვებთ. დარწმუნებული ვარ, ისეთ რამეს მოინადირობთ, მეც რომ არ მეცოდინება.

აი, ესაა სულ, ჰოდა, დამიჯერეთ ბატონებო, ამქვეყნად ერთხელ ვართ მოსულები და არ ღირს, მთელი ცხოვრება ხელი-სუფლებსათვის უაზრო ბრძოლაში გავლიოთ. გარშემო უამრავი სხვა რამეცაა საინტერესო. თქვენ კი, საკუთარი თავი დაარწმუნეთ, რომ განუყოფელი პოლიტიკოსები ხართ და ამ სავალალო შეცდომამ არაადამიანებად გაცდიათ, ასე რომ, ყველანი საკუთარი შეცდომის მსხვერპლნი ხართ.

ამქვეყნად კი, მხოლოდ ერთი რამაა თავგანწირვის ღირსი, სამშობლო! სამშობლო ბატონებო! ხომ ხედავთ მოვედით იქ, რითაც დავინყეთ, საქართველო ჩემი სამშობლოა! საქართველო ჩვენი სამშობლოა!

როცა ბიძინა ივანიშვილზე ვთქვი სამშობლოსადმი მისი სიყვარული აქსიომათმეთი, იმიტომ ვთქვი რომ, მან ერთხელ უკვე გადადო თავიც და საკუთარი ოჯახიც მხოლოდ და მხოლოდ სამშობლოსათვის და არამც და არამც ძალაუფლებისათვის. მაშინ, როდესაც თქვენ შეგებრძოლათ და ქართველ ხალხთან ერთად დაგამარცხათ. თქვენ კი, ამ დამარცხებას დღემდე ვერ ინელებთ და რევანშის წყურვილით დაბრმავებულები კიდევ ერთ საბედისწერო შეცდომას უშვებთ, სამშობლო და საკუთარი ამბიციები გერევათ ერთმანეთში.



ოთარ ტურაბაშვილი,
საქართველოს პარლამენტის წევრი, მწერალი, მომღერალი.
www.reportori.ge

გასწორება

საბაზეთი საქმეში, როგორც იტყვიან, ყველაფერი ხდება. ამ „ყველაფერში“ ისეთი მძიმე შეცდომაც იგულისხმება, როგორც ჩვენი გაზეთის 22 და 23 იანვრის ნომრებში მოგვივიდა (თუმცა, ამ „შესავლით“ თავის მართლებას როდესაც ვცდილობთ: საქართველოს პარლამენტის წევრის, მწერლისა და ხელოვანის, ბატონი თემურ ჭკუასელის პუბლიცისტურ წერილს „ტრაგედია — თანამედროვე მენეჯერული აზროვნება“, რომელსაც ერთი კვირაა გაგრძელებებით ვბეჭდავთ, ტექნიკური ლაფსუსის შედეგად შეერია სხვა ავტორის — გოგი ლორთქიფანიძის წერილი „სიმათლის ფასი“ და გამოქვეყნდა, როგორც თემურ ჭკუასელის წერილის ნაწილი.

უნებლიე გულისტკენის გამო ბოდიშს ვუხდით ორივე ავტორს, შეცდომის ნაწილობრივ მაინც გამოსასწორებლად ბატონი გოგი ლორთქიფანიძის წერილს სრული სახით გაზეთის უახლოეს ნომერში დავბეჭდავთ.

ალექო ასლანიშვილი,
გამეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარი რედაქტორი



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანაწერი №234

– „თეატრი ხომ იქაა, სადაც მანანა სურმაგა“, – ფეისბუქზე დადებულია ამ პოსტმა, რომელიც უთეატროდ დარჩენილი მსახიობისადმი თანადგომას და თანაგრძნობას გამოხატავდა, ერთი შორეული ასოციაცია აღმძვრდა: ემიგრაციაში მყოფი ცნობილი გერმანელი მწერალი ამ-ზომბა: სადაც მე ვარ, გერმანიას იქ არისო...

თუკი ყველაზე ძვირფასი მუდამ თან გვახლავს, რაღატომ ვწუხვართ განმორჩეულებზე, დაკარგულებზე, მიუწვდომელებზე...

ცხადია, ლიტერატურული სიმბოლიცა ცხოვრების პროზას ვერ გადაკეთებს და როგორც მწერლისთვის წერის აკრძალვა ან მხატვრისთვის ფანქრისა და საღებავების არქონა, დაახლოებით ასეთია სცენის გარეშე დატოვებული

თვის ძალიან საინტერესო იყო, როცა მანანამ ამ სპექტაკლის გაფორმებისთვის მიმინვია. მე მას ადრეც ვიცნობდი კინომსახიობთა თეატრიდან, სადაც სპექტაკლ „ესმერალდაში“ ერთ-ერთი სცენის პლასტიკა დავდგი. ყოველთვის აღფრთოვანებული ვიყავი მანანას ნიჭიერებით და გამიხარდა, როცა უკვე შემდგომ ჩვენი შემოქმედებითი შეხვედრა იმავე სცენაზე შედგა. მართალი გითხრა, ვერ წარმოვიდგინა ნიკო ლორთქიფანიძის ამ ნაწარმოების სცენაზე განხორციელება. მან კი ეს იცოდა და ამიტომ ჩემი მიდგომა ამ საქმისადმი ასეთი იყო: ხელი არ შემიშალა. საერთოდ ვთვლი, რომ ყველაზე დიდი დახმარებაა თუ ხელოვანს ხელს არ შეუშლი... მახსოვს, ერ-



– „ეს ნაწარმოები მამამ შემომთავაზა, – გვიამბობს მანანა სურმაგა, რომელსაც თეატრის კულუარულ ინტრიგებზე საუბარი არ უყვარს, ურჩევნია მხოლოდ შემოქმედებაზე ისაუბროს (მხოლოდ ერთხელ დაარღვია ღუმლი და საზოგადოების სათანადო რეაქციას მოჰყვა), – ნაწარმოები მე წავიკითხე და გვერდზე გადავდე. თავდაპირველად ვერ ჩავეჭდი. გავიდა ცოტა ხანი და ამ მასალის გაცოცხლება ძალიან მომიწია. ეს იყო ემიგრაციის ესოდენ აქტუალური თემა, მაგრამ ძირითადი აქცენტი სასიყვარულო ისტორიაზე გაკეთდა. დავიწყე მუშაობა და აღმოვაჩინე, რომ შეხების წერტილები ჩვენს რეალობასთან უფრო მეტია, ვიდრე მეგონა. პირველად სპექტაკლი მზადდებოდა ლიტერატურის მუზეუმის პატარა, მყუდრო დარბაზში, რომლის ფანჯრები ეზოში გადიოდა. მოვსინჯე გასვლა დარბაზიდან და ნაწილი ფრაგმენტებისა ფანჯრის იქით თამაშდებოდა. იქ იყო ჩემი პირველი მცდელობა მონოსპექტაკლში პარტიოროს შემოყვანისა. ეს პერსონაჟები მუსიკოსები იყვნენ... ეს თეატრალური ექსპერიმენტი რომ არ დაკარგულიყო, ბატონმა ზურამ კიკალაშვილმა გამიზიარა თავისი ექსტრაგავანტური აზრი: მეთამაშა ეს სპექტაკლი კონსერვატორიის ფოიეში და თან ამის ვიდუოდვერსიაც შემეძენა... გადაღება მიმდინარეობდა მაყურებელთა თანდასწრებით...“

მახსოვს, მონოსპექტაკლმა გურამ რჩელიშვილის „სალამურას“ მიხედვით, ძალიან აქტუალურად გაიქცა ეპაქათა გადაძახილივით. ახალი გადატანილი გვექნდა დიდი ემოციური სტრესი – 9 აპრილი. ჩვენ და მაყურებელი, ყველანი ერთ ემოციურ რადიუსში ვიყავით მოხვედრილნი...

ყველა განხორციელებული გეგმა(თუმცა, განსახორციელებელი უამრავია), მაკავშირებს დროის ხანგრძლივ პერიოდთან. ჩავაბარე იმ ინსტიტუტში და იმ ფაკულტეტზე, სადაც მინდოდა, ძლიერი პედაგოგისა და გამოჩენილი რეჟისორის მიხილ თემატიკის ხელმძღვანელობით. მერე კინოში გადაღება, სატელევიზიო სპექტაკლები თითქმის ათწლიანი ციკლი, რუსთაველის თეატრში მისვლა, სპექტაკლი რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტალურ სცენაზე... სოფიკო ჭიაურელითან, თეატრში „ვერიკო“ ჩემი სპექტაკლი „პატარა უფლისწული“ ბოლომდე რეჟერტურაში იჭდა... მაგრამ არსებითი იყო მუშაობა ჩემთვის ესოდენ ძვირფას თემატიკის თეატრში...

როცა ამ თეატრიდან სპექტაკლი მომიხსნეს (მერე მეც გამანთავისუფლეს), ვცდილობდი, ჩემი უმოქმედო მხიარული ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში მსუბუქი მაინც. ნაწილობრივ ეს გამომდიოდა! ძალიან საინტერესო ადამიანებთან შეხვედრას მიწყობდა ღმერთი!... თეატრში აღარ ვარ. გაუგებარი მდგომარეობაა ჩემთვის. რაღაც ალოგიკურობას ვხედავ იმაში, რომ ქართულ თეატრალურ სივრცეში არ მოინახა ჩემთვის ადგილი. არ მრცხვენია ამის, რადგან ამ ალოგიკურობის განცდა ჩემი უკვე გაჩეული შრომიდან გამომდინარეობს...

მე გარედანაც თანავუგრძნობ ყველაფერს, რაც ქართულ თეატრში ხდება. მოვიდა ძალიან კარგი ახალგაზრდობა. მთავარია, თეატრმა არ დაკარგოს ტრადიციული მთავარი ფუნქცია, არ გახდეს მხოლოდ გასართობი. ყველა კარგი სპექტაკლი ქართულ თეატრში ხომ პიროვნების მყარი პოზიციების და თავისუფლების დაცვაზე იყო ორიენტირებული.

ერთი, რაც ზუსტად ვიცი, რაღაც ეტაპი დამთავრდა. ერთი რომელიმე ეტაპის დასასრულით არ მთავრდება არც შემოქმედება, არც ცხოვრება. ახლა მეწყება გადაღებები. საინტერესო როლია. ვმუშაობ. მაინტერესებს. მიხარია!

* * * ჩვემ მანანას ამ „უსაზღვრო ოპტიმიზმში“ უსაზღვრო სევდაც ვიგრძენით, პროფესიული თავმოყვარეობაც... თითქმის ის ახლა სულ სხვა სცენის ფიქარნაგზე დგას – ცხოვრების სცენაზე და „თეატრის თავისთვის“ ქმნის. გამძლეობას ვუსურვებთ მანანა სურმაგას და სახელმწიფო თეატრების მესვეურებს კი ამგვარ თვითმყოფად, ხელოვანებისთვის თავდადებული მსახიობების არსებობას თავიანთ დასში, ისევ და ისევ ქართული თეატრის პრესტიჟისთვის.



სცენის მეორე მხარეს

„უმშობის ღირსილები ჩვენს რეალობასთან უფრო მეტია, ვიდრე მეგონა...“

მსახიობი, თავისი დაუხარჯავი ემოციებით, წლების მანძილზე შექმნილი პროფესიონალიზმით, პოტენციით, არანაკლები პარტიოროსი შეგრძნებით, პლასტიკით, ხმით...

მანანა სურმაგა წლების მანძილზე ეძებდა გზას თვითგამოხატვისთვის. შექმნა სრულიად ორიგინალური ერთი მსახიობის მონოთეატრი, რთული და გაბედული რეჟერტურით: სენტ-ვებუპერი, რილკე, ანდრე მორუა, ნიკო ლორთქიფანიძე, გურამ რჩელიშვილი... ერთი დარგის მეორე დარგის ენაზე გადატანა, ვთქვათ, ლიტერატურის გასცენიერება, გარდა იმისა, რომ ორივე დარგის სრულფასოვან ცოდნას მოითხოვს, ზომიერების კურთხეულ გრძნობასაც გულისხმობს და ჩვენი თანამედროვე მსახიობების იმედიან მახასიათებელს – ინტელექტს. მანანა სურმაგა ახერხებს მხატვრული ლიტერატურის ფრაგმენტები – პოეზიიდან, პროზიდან, ეპისტოლარული მემკვიდრეობა, პუბლიცისტიკა ერთ მთლიანობაში, კოლაჟის სახით, კომპოზიციურად შეკრას და პარანასზე შექმნილი ლიტერატურული ტექსტი სცენურ გარემოში, ორივე დარგის პრიორიტეტების გათვალისწინებით, ახალ მხატვრულ რეალობად აქციოს.

მაგალითისთვის, ნიკო ლორთქიფანიძის „შელოცვა რადიოთი“, დედისეული ტექსტიდან განსხვავებით, დიალოგებში გადაიტანა ისეთი დიდი გემოვნებით და ოსტატობით, ტრადიციის მცოდნე თანამედროვე ადამიანის თვალთ და დამოკიდებულებით, რომ თითქმის არც დარღვეულა ავტორისეული რიტმი, სიტყვის მგრძნობელობა და პირადი პათოსი. ბოლოს და ბოლოს, რა არის კლასიკა? ის, რასაც ყველა დროში კითხულობენ. მწერლის ამ ნაწარმოების თანამედროვე ხედვით გასცენიერებით (თუმცა, აქ ეს სიტყვა პირობითია), კიდევ ერთხელ დადასტურდა ნიკო ლორთქიფანიძის, როგორც კლასიკოსის, რანგი და რენომე.

ამ ინტელექტუალი მსახიობის უნივერსალიზმი გულისხმობს რეჟისურას(თუმცა, თავს რეჟისორს არასდროს უწოდებს), სცენოგრაფიას, მუსიკალურ განათლებას...

– „მონოსპექტაკლი ერთ-ერთი ყველაზე რთული ფორმაა, – ამბობს ბატონი მერაბ კოკოჩაშვილი, – რადგან მოითხოვს მსახიობი ფლობდეს რეჟისურასაც. მოკლე ხანში, სხარტად შეძლოს პერსონაჟის წარმოსახვა ისე, რომ მაყურებელმა აითვისოს. ეს პრინციპი, როცა მსახიობი სხვადასხვა სახეს მოკლედ, სხარტად გამოხატავს უესტის, მოქმედების, პლასტიკის ენაზე, ზოგჯერ მუსიკალური ხელოვნების შერწყმასთან ერთად, აუცილებლად მოითხოვს ძალიან დიდ ოსტატობას. მანანა სურმაგამ ეს ექსპერიმენტი, თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ, წამოიწყო საქართველოში. ამგვარი რამ უაღრესად საინტერესო იქნება დღევანდელ სატელევიზიო ფორმატივ იმიტომ, რომ ციფრულ გამოსახულებას და საშუალებებს, რასაც დღეს მონტაჟი იძლევა, უამრავი შესაძლებლობა აქვს. ის, რაც მოცემული იყო მანანა სურმაგას, როგორც მსახიობის საშუალებით სცენაზე, გარკვეულ დეკორაციაში, კონსერვატორიის ფოიეში, სადაც ნიკო ლორთქიფანიძის ნაწარმოები გა-

თხელ კოტე მახარაძემ თავის მონოსპექტაკლში ილიას სიკვდილის სცენის გამო მიმიწვია. ამ ეპიზოდს წინ უძღოდა გაუგონარ ღალატზე საუბარი, მერმეჩაშვილის ხსენება, სროლის ხმა და ფაქტის კონსტატაცია, რომ ილია მოკლეს. – „სიკვდილით გამოწვეული ტრაგედია პლასტიკის ენაზე როგორ უნდა გადავიტანო“, – შეითხა ბატონმა კოტემ. მე ეს სიმბოლიკაში გადავწყვიტე: „მხოლოდ გამომეტყველებით შეაფასეთ-მეთქი და ჩემად დატყვევით ტახტზე...“ ბატონ კოტეს ასეთი გადაწყვეტა ძალიან მოეწონა და ასევე განახორციელა.

მანანასთანაც სიმბოლური გადაწყვეტები იყო საჭირო. ცეკვის აქცენტირება შტრიხებით, დეტალებით, აი, ასეთი აქსესუარებით ვქმნიდით ყოველი სცენის გადაწყვეტას. ზოგ-



ჯერ ქოლგა გოლფის ჯოხად იქცეოდა... რაღაცას მივაჩვედი და ვეყურებდი როგორ შლიდა... დახვეწილად მოძრაობდა, პლასტიკა იქნებოდა თუ უესტი. მანანა განსაკუთრებულად ხმარობს ხელებს. მახსენდება სმოკტუროვსკის ხელები... ძალიან ძნელია ერთი მსახიობის თეატრი. როცა ერთი მსახიობი სცენაზე დგას, უნდა იყოს ძალიან ნიჭიერი. მხოლოდ რეჟისორული ეფექტებით ვერაფერს მიაღწევ. მსახიობის ამგვარი ნიჭი მხოლოდ ერთეულების ხედვრია. ძალიან მნიშვნელოვანია და საინტერესო, როცა რაღაცას შესთავაზებ და ნათქვამს მომენტალურად, ნახევარი სიტყვით გივებს მსახიობი.


ეს სპექტაკლი რამდენჯერაც გავიდა, სულ ჰყავდა მაყურებელი და ძალიან მიკვირს რატომ მოიხსნა ის კინომსახიობთა თეატრის რეჟერტურიდან...

არათუ მოიხსნა, მსახიობი თეატრიდან საერთოდ განათავისუფლეს, სწორედ იმ თეატრიდან, რომელიც მსახიობის მამამ კოტე სურმაგამ დააფუძნა მიხეილ თუმანიშვილთან ერთად.



„ჩაქაყნე ჩემი ხელები“...

ლევან ტულაძეს 90 წელი შეუსრულდა



საუბრები, გარჩევები... ეს „საუბრები“ ადამიანთა სულიერი კავშირების სტიმული ხდებოდა. „საუბრები“ დღეს აღარ არის. აღარავის სჭირდება დიალოგები. მაშინ თუ აშკარა ფორმებით გვეზრძოდნენ, ვილაყვები გვეფარველობდნენ კიდევ, გვიცავდნენ. დღეს, უბრალოდ, არავინ გაქცევს ყურადღებას. რაც გინდა, გააკეთე, არავის აინტერესებს. სრული ვაკუუმი, მრძოლის ველი წაშლილია და შენთვის ხარ ჩაკეტილი...“

ბატონი ლევანი გვეთანხმება იმაში, რომ ყველა ეპოქაში იყო მრძოლა ნამდვილ ხელოვნებასთან, სხვადასხვა ფორმით და საშუალებებით. იგონირებდაც ხომ ერთგვარი მრძოლა. ცენზურა, იდეოლოგიური მითითებები და ძალადობანი, ძალიან მძიმე ვახლდათ, მაგრამ ხომ გააჩნია, ვინ გვზრდის. მაშინ სინამდვილეში ყველამ იცოდა, რომ მხატვრებს თუ მწერლებს ღირებულებათა ერთგულებისთვის ეზრდოდნენ. კულუარებში კი „ნამდვილის“ ფასი იცოდნენ, რასაც არაოფიციალური აღიარება ჰქვია. იქნებ ეს უფრო მთავარია ხელოვნებისთვის და იქნებ ის მრძოლები თავისთავად ძალასაც კი ანიჭებდათ...

„დიახ, სინამდვილეში მართლაც ყველამ ყველაფერი იცოდა. წინააღმდეგობები ხშირად საინტერესო გამოხატულებას ჰქონდა“. მახსოვს, ბატონი ლადო გუდიაშვილის გამოფენას არ ხსნიდნენ, რომელიც ერთ-ერთ საგამოფენო დარბაზში უკვე კედლებზე იყო ატანილი. ჩვენთან, სტუდენტებთან, მოდიოდა ხელოვნებათმცოდნე ოთარ ფირალიშვილი და დეტალურად გვიყვებოდა ბატონი ლადოს განცდების შესახებ.

მით ამ კონკრეტულ სცენარეზე. დარგობრივი ტერმინოლოგია, მსჯელობაც მტუდირების მიზნებსა და ამოცანებზე სხვა განზომილებებში გადადის. შეუძლებელია მხოლოდ ერთი კონკრეტული დარგის ერთი განვიხილოთ მსგავსი ფრაზები: „ძიება უსასრულოების მარადიული ფორმულაა. ის ინტუიციური მოვლენაა ცნობიერებაში“, „პროპორცია არის ჩვენს ინტუიციის მჭიდროდ ჩაბეჭდილი კანონზომიერება“, „ხაზს აქვს საოცარი უნარი: შექმნას კონსტრუქცია და დაამთავროს ფორმა“...

ამავე წიგნში ის უნივერსალიზმია მოცემული, რომელიც აკადემიური პროფესიონალიზმის დაუფლების აუცილებლობასთან ერთად, ინტუიციის, აზროვნების ფორმის, ინტელექტის და ინდივიდუალობის უპირობო გამოვლინებას გულისხმობს. საფუძველთა საფუძველებზე საუბარი. ამ თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ მსგავსი უნიკალური სახელმძღვანელო ჩვენთან ჯერ არ შექმნილა და თუ სხვა ენებზეც ითარგმნა, დიდი პოტენციალი იგულისხმება.

ხელოვნების ისტორიაში ამგვარი კითხვებიც დასმულა: ხელოვანი მეტია თუ ხელოვნების ნაწარმოები? ... რადგან ყველაფერი პირველადი ფორმის წარმოშობის განხილვისას.



ხილვებ, დროის, ეპოქის და, გენგავთ, სიცოცხლის ხანგრძლივობის დამოუკიდებლად, იმ ერთ, მთლიან მარადიულ დროში... და მაინც, მომავალი მუდამ გენიოსის მხარესაა, პიროვნება სამკაულივით რჩება შთამომავლობას.

„ფრესკები ჩვენი ეკლესიისა იყო და არის მაღალი შემოქმედება და დიდი სკოლა, – წერს ლევან ცუცქერიძე – სხვა სკოლა ჩემს თაობას, ახალგაზრდობაში არ ჰქონია. ჩვენდა საბედნიეროდ, ქართული ფრესკები განუყოფელია გენიალურ ქმნილებათა რიგს... ჩემი წინაპარი, რაზეც მედინიერი ვარ, რომ დამაჯილდოვე ასეთი მშვენიერებით. მე გონი არ მყოფნის, რაზეც გადავიხადო მაღლობა უსასრულოების მარადიულ დინებაში...“

...შემოქმედებით მღუმარებაში როგორ გაფრინდნენ წელიწადები, როგორ მიიღია ცხოვრების დღენი, ფიქრები შენი ბავშვობიდან დღემდე, უცვლელნი, პირველყოფილნი, უცვლელი ხიბლით ადვანიონი, შერჩა შენს მოვლენებებს და გარინდული კიდევ და კიდევ ეძებ იმ ჭეშმარიტებას, რაც ასწერიად ამოძრავებდა შენს სულს, რათა გეპოვა ის ურთულესი, რისთვისაც ღირდა ცხოვრება და მაინც, შენთვის დარჩა ამოუცნობ, ხიბლით მოცულ მშვენიერებად...

ნინო ხოზარია.

„როდესაც ვარსკვლავი სწყდება ცას, ის ტოვებს კვალს, რომლის მშვენიერება ჩვენს სულს ისე განაწყობს, რომ ამ სილამაზეს ვეღარ ვივიწყებთ. ასე მეტყობივით გადაურბენს ხოლმე ჩვენს ცხოვრებას მაღალი ნიჭის ვაცის ფიქრები და მარადიულ წესრიგში ადგილს იმკვიდრებს (ლევან ცუცქერიძე, წიგნიდან „საგანი სიერცემი“).

„მაღალი ნიჭის ზემოქმედებით მსახურების იდეა სულიერი გმირობის მაგალითებს მოითხოვდა იმ ეპოქაში, რომელსაც ისტორიული მსჯერის ხანასაც უწოდებენ და რომელშიც მხატვარ ლევან ცუცქერიძეს მოუხდა მოღვაწეობა, რადგან კულტურის მოღვაწეთა მორჩილება მსოფლმხედველობითი დიქტატურის წინაშე მატერიალურ კეთილდღეობას მოასწავებდა, ხოლო სახელმწიფო დაკვეთების შეუსრულებლობა – სიცოცხლე დაუცველობას.



ბატონმა ლევან ცუცქერიძემ, მცირერიცხოვან თანამედროვეებთან ერთად, გარემო სინამდვილის გარდაქმნა, ყოველგვარი მანიფესტაციის გარეშე, შემოქმედებითი თავისუფლების რეალიზაციით დაიწყო და დღეს, როცა უკვე 90 წელი შეუსრულდა, თვლის, რომ ასაკი დროში გაფანტული პირობითობა და რაღაც ბოლომდე ხელუხლებელი (მხატვარმა საჩვენებელი თითით გულთან მიგვანიშნა), სიცოცხლის ბოლომდე რჩება ადამიანში...

მაგრამ რაღაც მაინც ხომ მიაქვს სწრაფმავალ დროს? „– შეხედეთ ჩემს ხელებს, – ამბობს მხატვარი, – 90 წელია, მე მათ ვატარებ. რა საოცარი სევდით იხედებიან ისინი. ოდესღაც სავესე მდებარის რამდენი ნაოჭი გასჩენია, როგორ შეპარვიათ სიყვითლე ფერის, როგორ ჩამოეკიდნენ სივრცეს, თითქოს მათ მოძრაობას სიბერე დაეუფლა, მაგრამ ჯერ ხომ აღრეა?..“

მხატვარმა თითქოს უკან მოიტოვა სივრცე, რისკენაც მიდიოდა, დაძლია, რის დაძლივასაც ესწრაფვოდა, მაგრამ ამ დასასრულის მერე კიდევ ბევრი რამ აღმოჩნდა აუცილებლად მისაღწევად და გამოსახატავად („ჯერ ხომ აღრეა“)...

მათმა ოჯახმა დროის ყველაზე დიდი, გაუსაძლისი ტვივილები გაიზიარა, რეპრესიებიც, გადასახლებებიც... მაგრამ როცა მაღალი საგნისკენ მიმართავ მზერას, წარსული, თავისი ერთადერთობით, თავისთავად ძვირფასია და ბატონი ლევანი ცხადია, არ იზიარებს დღეს ესოდენ გავრცელებულ ყველაფრისადმი რადიკალური უარყოფითობის კლიშეს. რაღაც კარგი ხომ ყველა ეპოქაშია: „გავიდა დრო და ის წარსული ძვირფასი გახდა ჩემთვის.

მიუხედავად მუდმივი ოფიციალური დემაგოგიისა და გაჭირვებისა, სხვა სიბოროტეობებმა ჰაერში. რაღაც წრეებში თავყრილობებზე, მიმდინარეობდა ძალიან საინტერესო



ანამა ყოველთვის უნდა იფიქრო: ჯერ აღრეა...

როდის არის აღრეა და როდის არის გვიან? – ამ კითხვაზე პასუხსაც ლევან ცუცქერიძის წიგნში „ხელოვნება და სივრცე“ ვიპოვით, რომელიც დიდმა მასეტრომ ახალგაზრდა მხატვრებისათვის სახელმძღვანელოდ ჩაიფიქრა, მაგრამ სიღრმით და განზოგადე-

© კადრი, მცირე კომენტარით



„რუსეთის ჯინაზა“...

9. 6. ანტონოვსკი მონტაჟი აპოკალის, ალბათ, მაშინ მაღაწია, როცა ნაციონალისტების განთავსების მინისტრმა დოსტოევსკისა და ტოლსტოის შემოქმედება საჯაროდ „გაპოკალისა“. სოლოლაკის ამ ძველ უბანში ერთი ისტორიული სახლი ბოლომდე დაინგრა. მემორიალურ დაფას, წარწერით „აქ ცხოვრობდა პეტრე ჩაიკოვსკი“, ვუმზერდით, როცა გზად მიმავალმა 15-16 წლის ბიჭმა, ამ თაობის დამახასიათებელი უარყოფითობის ტონით, საზეიმოდ გამოგვიცხადა: „ეს ხომ რუსია! ახია მასზე, კარგია, რომ დაინგრა!“...

ცნობილია, რომ თვით სტალინიც კი არ კრძალავდა გერმანულ მუსიკას და მწერლობას, გოეთეს თუ სემასტინ ბახს... და მას „ფაშისტების“ შემოქმედებას არ უწოდებდა... ამგვარი მემორიალური სახლების დანგრევასთან ერთად, ჩვენი დროების, ახალი მენტალიტეტის თაობა იზრდება, რომელთაც რუსული „ჯინაზა“ არ იცინა, ხოლო ინგლისური ჯერ არ იცინა. უბრალოდ, უხარიათ, რომ რაღაცა ინგრევა.



მპითხველის თხოვნით გადავზომა ბატონი გელა ჩარკვიანის ინტერვიუს „მოამბის“ ჟურნალისტიკა, რომელიც ეძღვნება შევარდნაძის დაკრძალვის დღეს გადართვას ეთერში. გელა ჩარკვიანი 2002 წლიდან საგარეო პოლიტიკის საკითხებში გახლდათ ექს-პრეზიდენტის მრჩეველი. ხოლო ბოლო წლებში — მისი თანაშემწე.

— 86 წლის ასაკში გარდაიცვალა მეორე პრეზიდენტი, დიდი პოლიტიკოსი, — როგორც მას უცხოელი პოლიტიკოსები უწოდებენ. მას დიდი ღვაწლი ჰქონდა საერთაშორისო პოლიტიკაში. თქვენ როდის გაიხსენებთ შევარდნაძეს, როგორც გამოჩენილ პოლიტიკოსს, როდის დაინდებდა იგი პოლიტიკის ასპარეზზე?

— დიას, ეს ხდება 1985 წელს. შევარდნაძე ინიშნება საგარეო საქმეთა მინისტრად და უნდა ვთქვათ, რომ ნელ-ნელა საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა იცვლება. უპირველეს ყოვლისა, ხდება რა? აქ ძალიან მნიშვნელოვანია ამის აღნიშვნა, ხდება მისი დეიდოლოგიზაცია, მე ისევ იდეოლოგიას ვხმარებ... თავად ბატონი ედუარდიც ყოველთვის ამას აღნიშნავდა ხოლმე ჩემთან საუბარში, რომ ეს ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი იყო. რა იყო დეიდოლოგიზაცია? ის რომ, წინათ საბჭოთა პოლიტიკა წარმოებდა კლასობრივ სანყისებზე, ანუ საზარელი დამნაშავეც რომ ყოფილიყო, შენ ეხმარებოდი იმას, ვინც შენთან კლასობრივად იყო დაახლოებული. დეიდოლოგიზაცია ნიშნავდა იმას, რომ შენ გადადიხარ საერთაშორისო, უნივერსალურ ღირებულებებზე და უკვე ეთიკურად იქცევი. ეს მოხდა. ეს პირადად პირდაპირ იყო. ამას ბევრი ეწინააღმდეგებოდა. თავად სამინისტროშიც მისი მოადგილე ილია ჩოვიც ეწინააღმდეგებოდა, იმიტომ რომ ისინი ყველანი იდეოლოგიები იყვნენ და მათთვის ძნელი იყო ამის წარმოდგენა. ეს მოხდა და ამან განაპირობა ის, რომ საბჭოთა კავშირი საგარეო პოლიტიკურ არენაზე სხვანაირად იქცეოდა. შევარდნაძის პიროვნულმა თვისებებმა ძალიან დიდი როლი შეასრულა. პირადად თვითონვე მას მისცა საშუალება, რომ დიდებს, გრანდებს დამეგობრებოდა, იმათ, ვინც ახლა აქ არიან ჩამოსულნი. ბეიკერია, გენშერია ჩამოსული, ასეთი იყო როლან დიუმა, დაგლას ჰერდი, ჯეფრი ჰაუ და ა. შ.

— შევარდნაძეს საერთაშორისო პოლიტიკის ასპარეზზე მაშინ მოუწია გამოცდა, როდესაც იქ ისეთი წარმოსაჩენი ადამიანები იყვნენ, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს 21-ე საუკუნის პოლიტიკას.

— იმათ ახალ მსოფლიო წესრიგს ჩაუყარეს საფუძველი, მაგრამ შევარდნაძის გარეშე, ან საბჭოთა კავშირის ახალი პოლიტიკის გარეშე ისინი ვერ ჩაუყრიდნენ ამას საფუძველს...

— საბჭოთა კავშირი... ასხენეთ... რეჟიმი დასუსტდა თუ შევარდნაძემ გამოიჩინა ის კარგი თვისებები, რომ შეძლო ამ რეჟიმში ლავირება?

— კი, შეიძლება თქმა, რომ დასუსტდა, რადგან საბჭოთა კავშირი თანდათანობით ეკონომიკურადაც დასუსტდებოდა, ... ახალი თაობის, პოლიტიკოსებს — გორბაჩოვს, შევარდნაძეს, რომლებიც მოვიდნენ, უკვე უნდოდათ, რომ ამ ქვეყნის სახე შეეცვალათ. მაგრამ აქ ძალიან მნიშვნელოვანი მომენტი ის, რომ როცა ჩამოიშალა ევროატლანტიკური მტრის ხატი, ესე იგი, ევროატლანტიკური სივრცე აღარ არის შენი მტერი, საბჭოთა კავშირი, რასაკვირველია, ასე ვთქვათ, შიგნითაც გახსნა. და ეს, ნებით თუ უნებლიეთ, დაეხმარა საბჭოთა კავშირის დაშლას. ასე ვიტყვოდი, დაეხმარა საქართველოს და სხვა რესპუბლიკების მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებასაც. მაგრამ მე ვლაპარაკობ მის პირად თვისებებზე... როგორც კი გამოჩნდა შევარდნაძე დიპლომატიურ ასპარეზზე, ხელად შეამჩნიეს, რომ ახალი ტიპის ადამიანი გაჩნდნა. მას ხელად შეარქვეს „მისტერ სმაილი“, ანუ „ბატონი ლიმილი“. რატომ? ეს იყო დიდი კონტრასტი მასსა და მის წინამორბედს, არასერიოზულობამდე სერიოზულ გრომიკოს შორის. ამ თბილ განწყობას ის თავის გარშემო იუმორით, ადამიანურობით ქმნიდა, რადგან მანამდე ადამიანური არ იყო საბჭოთა პოლიტიკური ელიტა. ის ყოველთვის ცდილობდა ძალიან სხვანაირი, თბილი ყოფილიყო კაპიტალისტების მიმართ და ამ სიბოთითი მან შესანიშნავი კონტაქტები დაამყარა ყველა დღეს აქ ჩამოსულ ადამიანთან. ეს პირადი კონტაქტები მას ძალიან ეხმარებოდა. ისე რომ ახალი წესრიგი მსოფლიოში, ბიპოლარული სამყაროს დაშლა, „ცივი ომის“ ყინულის გაღომა მოხდა მათი ერთობლივი ქმედებით, მაგრამ ამ ქმედებაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი როლი სწორედ ედუარდ შევარდნაძეს ჰქონდა.

— ედუარდ შევარდნაძე ლიბერალურ მიმართულებას უჭერდა მხარს. და უკვე დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში მის სახელს



ედუარდ შევარდნაძე ლირსაბის ორდენს გადასცემს გელა ჩარკვიანს. 29 დეკემბერი, 1987 წ.

უკავშირდება სიკვდილის დასჯის გაუქმება. თუმცა მანამდე, საბჭოთა პერიოდში, ასევე შევარდნაძის სახელს უკავშირდება თვითმფრინავის ბიჭების საქმე და ამ ბიჭების მიმართ გა-

აი ასეა, ულტიმეტიუმად მყოფ ადამიანს უცხად, ერთ თვეში აღმოუჩინეს ვეებერთელა მხარდაჭერა. პირველი ჩამოვიდა გენშერი. ეს იყო აპრილი. მეორე ჩამოვიდა ბეიკერი, ანუ

გელა ჩარკვიანი: შევარდნაძე დიდი მსოფლიო შორიდან შემოიღო...

მოტანილი განაჩენი - დახვეწა. როგორ შეაფასებთ იმდროინდელ მოვლენებს, რამდენად შეძლო ედუარდ შევარდნაძეს ასეთი განაჩენის თავიდან არიდება?

— ვერ გეტყვით, რამდენად შეძლო, თუმცა ეს პირადად ჩემთვის არის ძალიან მძიმე ეპიზოდი. იმიტომ ჩემთვის ძნელია ამას საუბარი. მოგეხსენებათ, რომ იმ ბიჭებიდან ერთი ჩემი შვილის უახლოესი მეგობარი იყო. ჩვენთან სახლში ეს ამბავი ტრაგედიადაც აღვიქვით და ყოველთვის ტრაგედიადაც დარჩება.

მე არ ვიცი, ვინ ჩაერია სასამართლოს ქმედებებში. ცუდია, თუ ვინმე ჩაერია. მე პირდაპირ ასე ვიტყვი. ალბათ, განსჯის ისტორია, ვინ იყო ამაში მართალი და ვინ — არა. ერთი კი იყო, რომ ორი მხარეა და აქეთაც — მეორე მხარესაც მოხდა ტრაგედია. ალბათ, ძალიან ძნელ სიტუაციაში იყო ყველა ის ადამიანი, ვისაც შეხება ჰქონდა ამ საქმესთან.

— გადმოვიდეთ უკვე დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაზე, 1992 წელს ედუარდ შევარდნაძე ბრუნდება საქართველოში. 2003 წლამდე თქვენ მის გვერდით იყავით. ერთად მუშაობდით. საქართველოს ისტორიაში საკმაოდ ძნელი, ერთ-ერთი ურთულესი პერიოდი იყო. დაძაბულობა, სამოქალაქო ომი, საომარი მოქმედებები. უკვე შემდგომ სამოქმედო ურთიერთობა და ძალიან დიდი არეულობა. საერთაშორისო პოლიტიკის მოთამაშეები თანხმდებიან, რომ იგი საერთაშორისო ასპარეზზე უმნიშვნელოვანესი ფიგურა იყო, თუმცა საქართველოში ყოველთვის კამათს იწვევს — ედუარდ შევარდნაძეს შეეძლო მეტის გაკეთება თუ არა? როგორ შეაფასებთ სანყის პერიოდს, 1992 წლიდან რომ დაიწყო... მას მცირედი ლეგიტიმაცია აქვს და საქართველოში ურთულესი მდგომარეობა...

— მე მასთან ვმუშაობდი 1992 წლის აპრილიდან 2003 წლის 23 ნოემბრამდე, ბოლო დღემდე. ჯერ მრჩეველი მერქდა და ბოლოს თანაშემწე აქამდე. მაგრამ ვაკეთებდი ერთსა და იმავეს თავიდან ბოლომდე, ყოველთვის მქონდა საქმე საგარეო პოლიტიკასთან. შევარდნაძე ჩამოვიდა ანკილ, ძალიან რთულ მდგომარეობაში მყოფ ქვეყანაში, ამას, მე მგონი, ყველა აღიარებს. თომას ჰობსის სიტყვებს მოვიშველიებ, ეს იყო ომი ყველასი ყველას წინააღმდეგ. ასე იყო, აბსოლუტურად ყველა ყველას ეომებოდა, იყო სამოქმედო, შეიარაღებული ჯგუფები, შევარდნაძე ჩამოვიდა და მას თავად არანაირი ძალა არ ჰქონდა. მას არ ჰყავდა არც ჯარი, არაფერი არ ჰქონდა. ერთადერთი, რაც მას ჰქონდა, საერთაშორისო ავტორიტეტი იყო.

ჩვენ ვლაპარაკობთ, მიხმარა თუ არა მაშინ ავტორიტეტი, რასაკვირველია, მიხმარა. შევარდნაძე ხომ არ იყო სახელმწიფოს ლეგიტიმური მეთაური. მისი ლეგიტიმაცია მხოლოდ შემოდგომაზე, არჩევნების დროს მოხდა. არაა, მაშინაც პრეზიდენტად ხომ არ აირჩიეს, ჯერ იყო პარლამენტის თავმჯდომარე და სახელმწიფოს მეთაური.

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი და შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი.

— მაშინ შევარდნაძეს ოფიციალური პოსტი საქართველოში არ უკავია?

— საბჭო იყო... რა იყო სახელმწიფო საბჭო, ძნელი სათქმელია. პოსტი იყო თუ არა, მას ფაქტობრივად, ლეგიტიმაცია არ ჰქონდა. მეორე ჩამოვიდა დემირელი, რომელიც მაშინ თურქეთის პრემიერ-მინისტრი იყო. პირდაპირ იგონებოდა მხარდაჭერის დემონსტრაცია. მით უმეტეს, ბეიკერის ვიზიტისას... მახსოვს, რა ძნელ პირობებში ხდებოდა ეს. იქიდან დაიწყო ყველაფრის აღიარება. საქართველო გახდა გაეროს, ეუთოს წევრი. საქართველო მრავალმა ქვეყანამ აღიარა. ვფიქრობ, პოლიტიკა მაინც შესაძლებლის ხელოვნებაა, შესაძლებელზე მეტს ვერ გააკეთებ. რა მოხდა, მაინც? დაწყნარდა ქვეყანა. თუმცა, არ ვლაპარაკობ აფხაზეთის ომზე და სხვა კონფლიქტებზე, ჩვენს ტერიტორიაზე რომ იყო... ისე რომ, სხვა თვალსაზრისით მაინც ქვეყანა დაწყნარდა, და 1995 წლისათვის უკვე სახელმწიფო მეტ-ნალებად შედგა. რასაკვირველია, სახელმწიფო შედგება მხოლოდ მერე, როცა გამართული ბიუჯეტი, შენი პოლიცია და ჯარი ნორმალურად მოქმედებს, ეს მაშინ შეგიძლია. მაგრამ 1995 წლისათვის სახელმწიფო მეტ-ნაკლებად შედგა. 1995 წელსვე მიმოქცევაში შემოვიდეთ ფულადი ერთეული — ლარი, მაგრამ ეს ასე ადვილად არ ხდებოდა. ჩვენ რომ ვლაპარაკობთ, იყო თუ არა დასავლეთის დახმარება. დიას, ლარის მიმოქცევაში შეყვანაც და საერთოდ უკვე ფინანსური სტაბილურობაც მთლიანად იყო დავაკვირებული საგალუტო ფონდთან. ეს პირველი ვიზიტის შემდეგ დაიწყო, მათი დელეგაცია ჩამოვიდა, შემდეგ შევარდნაძე წავიდა და ნაევები შეერთებულ შტატებში, კლინტონს შესცა. და იქ ვერ მოხერხდა, რომ საერთაშორისო სამშვიდობოები დაეყენებინათ აფხაზეთში.

— თუმცა საფუძველი ჩაეყარა საქართველო-ამერიკის სამხედრო თანამშრომლობას...

— მაშინაც იწყებოდა, მაგრამ სამხედრო სფეროში მოგვიანებით, 2002 წელს იყო, როდესაც რეალური, სტრატეგიული პარტნიორობა გაფორმდა, თუმცა, იმ პირველმა ვიზიტმა ძალიან დიდი როლი შეასრულა სტაბილურობაში. ასე ვსვამდით საკითხს, დაეხმარა თუ არა საქართველოს დასავლეთი საქმარისად? დემოკრატიული დასავლეთისთვის დახმარება ასე ადვილი არ არის. ესენი არ არიან სახელმწიფოები, რომელსაც შეუძლიათ ერთ დღეს ასე დაარსდეს ხელი მაგიდას და თქვან, დღეს მე ვესმარებ საქართველოს! იქ პარლამენტია ცალკე, იქ არის ძალიან აგრესიული მედია. შენ ვერ გადადგამ ნაბიჯებს, რომ მაინცდამაინც მოინდონ. ისე რომ ჩვენ არ უნდა მოველოდეთ განსაკუთრებულ აქტებს, ყუსტებს დასავლეთისგან. იმათ შეუძლიათ ის, რაც შეუძლიათ. მეტი იმათ არ შეუძლიათ.

რაც შეეხება საქართველოს კურსს, რასაკვირველია, საქართველოს დასავლური ორიენტაციის არქიტექტორი არის შევარდნაძე. კი არის ლაპარაკი, რომ ცდილობდა, დაეხმარებინა მხოლოდ რიტორიკით, შევარდნაძეს პრინციპულ საკითხში რუსეთისთვის არასდროს არ დაუთმია, — არც მილსადენების და ამერიკისთვის სამხედრო დახმარების საკითხში. არც ნატოს საკითხში, პირველი განცხადება ნატოში შესვლაზე პრალის სამიტზე 2002 წლის ნოემბერში სწორედ შევარდნაძემ გააკეთა, ეს პირდაპირ სიტყვაშია და ვისაც აინტერესებს, ვებ გვერდზე შევიდეს და იქ ნახოს.

— თუ ყოფილა თქვენს შორის საუბარი და თუ გამოუთქვამს სინანული იმ ვითარებაზე, რომელიც საქართველოში ტრიალებდა? გგულისხმობ 90-იან წლებს, იყო უშუქობა, ეკონომიკური კრიზისი...

— საოცარი სინანული ჰქონდა განსაკუთრებით ეკონომიკის თვალსაზრისით. ამბობდა ხოლმე ასეთ რამეს, იცი, მე მზად ვარ, მუხლებზე დავდგე და ყველას ვთხოვო ფული. წავიდე ყველგან, მდიდარ ქვეყნებში და იმათ ფული ვთხოვო, ოღონდ რამენაირად ვუშველო ამ ქვეყანას. ჩვენ, მართლაც, გვეხმარებოდნენ: ევროკავშირი, შეერთებული შტატები, მეტსაც გეტყვით, ამერიკასთან სტრატეგიულ პარტნიორობაზე ვლაპარაკობთ, ამას სწორედ მა-

შინ ჩაეყარა საფუძველი, ამერიკა საქართველოს ბოლომდე ეხმარებოდა, როგორ, იცით? საქართველო მთელს მსოფლიოში დახმარების რაოდენობით ისრაელისა და ეგვიპტის შემდეგ მესამე იყო, თუ, რასაკვირველია, გადავლით ამას ერთ სულ მოსახლეზე. საქართველო უკრაინაზე, ბულგარეთზე და სხვებზე მეტს ღებულობდა. რომ ვთქვათ, დახმარება არ ჰქონდა, ჰქონდა, მაგრამ იმდენად ჩავარდა 90-იან წლებს დასაწყისში, ეს ბუნებრივად იყო, იმიტომ რომ შეიცვალა წყობა, საერთოდ ურთიერთობები, და ამას ვერც შევარდნაძე და ვერც ვერავინ უშველიდა. მაგრამ ნელ-ნელა, 1996-97 წლებში თითქმის 10 პროცენტით ზრდა იყო. მახსოვს „ეკონომისტმა“ გამოაქვეყნა ასეთი სტატია — „ბოლოს და ბოლოს, იმედი“, ანუ „Hope at last“, იმიტომ რომ, მართლაც, დაიწყო ზრდა.

მაგრამ 1998 წლის რუსულმა კრიზისმა, მოგეხსენებათ... იქ მოხდა დე ფოლტო, იმ კრიზისმა ძალიან მძიმე დარტყმა მიაყენა საქართველოს. საქართველოდან ბორჯომის, ლეჩხუბის და ყველაფრის ექსპორტი მარტო რუსეთზე იყო. აქედან დაიწყო სიძნელეები. დიდი სიძნელე იყო ის, რომ ბიუჯეტი ვერ იქმნებოდა. ეს უნდა ვაღიაროთ: ბიუჯეტი ვერ შეიქმნა, ბიუჯეტი სახელმწიფოა. თუ ნახევრად ბიუჯეტი, მაშინ ნახევარი სახელმწიფოა. ბიუჯეტი ქმნის ყველაფერს. თუ პოლიციის არ უხდი საკმარისს, ის ლოიალური ვერ იქნება, ჯარი ვერ იქნება ლოიალური, თავად შევარდნაძე ამას საგადასახადო ტერორიზმს ეძახდა. და ის მართალი იყო, რადგან ფაქტობრივად ეს იყო ტერორიზმი, მაგრამ ვეღარ უშკლავდებოდა.

მე მგონია, რომ ნაწილობრივ, ალბათ, უკვე ასაკის გამოც, არ არის ადვილი ამ ასაკში ასეთი რაღაცების მართვა, და მეორეც, ასე ვიტყვოდი, ალბათ, არავის არ ეწყინება, რომ მისი გარემოცვა შეუსაბამო იყო ახალი ეპოქისთვის.

— ანუ თვლით, რომ საბჭოთა პერიოდის ის ნომენკლატურული გამოცდილება მას დამოუკიდებელ საქართველოში გადმოჰყვა და იგი ბლომდე ვერ გათავისუფლდა ამისგან?

— შევარდნაძე ისეთი ადამიანი იყო, რომელიც ყოველთვის ახალს ეძებდა, მაგრამ მას თან გადმოჰყვა კადრები, რომელთაც ის ენდობოდა. და ენდობოდა იმიტომ, რომ უფრო კარგად იცნობდა. ეს ბუნებრივია. მე ბევრთან მქონია ლაპარაკი, იმათ დემოკრატიის არსებობისა არ სწამდათ. მაგალითად, იყო ერთი ადამიანი, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ მთელ მსოფლიოს საიდანაც ერთი ადამიანი მართავს.

შევარდნაძეს ჰქონდა რწმენა, მან იცოდა დასავლური ქვეყნების პრაქტიკა და მას ჰქონდა რწმენა იმისა, რომ დემოკრატია მართლა არსებობს და ის შეიძლება საქართველოშიც იყოს. ბერეს, დანარჩენს ეს არ სწამდა. კიდევ უფრო დანარჩენს ანტიდასავლური გრძნობები ჰქონდა, შევარდნაძესთან არ ამბობდნენ ხოლ-

მე, მაგრამ ჩემთან უთქვამთ. კანცელარიის დე-რეფანში მეკამათებოდნენ ამ თემებზე.

მაპატიეთ, მაგრამ როცა ახალ სახელმწიფოს აყალიბებ, ყველა ადამიანი, რომელიც ახალ სახელმწიფოს ქმნის, იდეურად აბსოლუტურად გულწრფელი, ლოიალური უნდა იყოს იდეისა, ასე შეიქმნა აშშ, ასე შეიქმნა ყველა დიდი დემოკრატიული სახელმწიფო. დემოკრატიის შექმნა ყველაზე უფრო ძნელია. პლურალიზმია ძნელი, ადვილია დიქტატურა, შეაძლებ ვიღაც ადამიანს, ყველას შეაძლებ და მერე თვითონ მართავ „ოპრინჩინს“ საშუალებით.

— **ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს ერთ-ერთი არგუმენტი, რასაც ოპოზიცია იყენებდა, იყო ის, რომ შევარდნაძეს არ ჰქონდა არავითარი გეგმა, როგორ უნდა აშენებულიყო დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო... თუ ჰქონდა მას ასეთი გეგმა?**

— გეგმა რაში მდგომარეობს? დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო უნდა აშენებულიყო დამოუკიდებელი სახელმწიფოს პრინციპებით. პირველი, უნდა ყოფილიყო კონსტიტუცია და კონსტიტუცია ეფუძნებოდა ძველ, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის კონსტიტუციას. ის დემოკრატიული იყო, უბრალოდ რაღაცები იყო გასაკეთებული. მოგეხსენებათ, პირველი დემოკრატიუ-

რამ შევარდნაძე ამას ახალისებდა. თქვენ წარმოიდგინეთ, რომელიმე საბჭოთა ლიდერმა რომ ნიჭიერ ახალგაზრდებს გაუხსნას გზა, თანაც იცი, რომ ამ ახალგაზრდებში რაღაც პოტენციალი ანტაგონიზმისა არის.

მან ძალიან კარგად იცოდა, სადღაც, უკვე 1998-99 წლიდან, რომ მწარედ საუბრობდნენ, ზოგჯერ დასცინოდნენ კიდეც, ხომ იცით, როგორები არიან ახალგაზრდები. ყველამ იცოდა პარლამენტის ამ ახალგაზრდულ ჯგუფზე და ეუბნებოდნენ შევარდნაძეს, იცით, რა ძალიან საინტერესო ხალხი გყავთო. ისიც მათ 2003 წლამდე ყოველთვის ეუბნებოდა (მაგალითად, რომელიმე ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრს შესვდრის დროს), მე მათ არ ვეთანხმები ბევრ რამეში, ისინიც არ მეთანხმებიან, მაგრამ ისინი ნიჭიერი ბიჭები არიანო. ამას უსვამდა ხაზს.

ეს მომწონდა მე შევარდნაძეში, ის არაორდინალური ადამიანი იყო. ის არ რეაგირებდა ისე, როგორც რეაგირებს ხოლმე ჩვეულებრივი ადამიანი. ჩვეულებრივი ბიუროკრატი, რომელსაც უნდა ძალაუფლების შენარჩუნება. იგი იყო განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდებული, მას ხომ არ გაუფლია მართვისა და დიპლომატიის კურსები რაიმე პრესტიჟულ უნივერსიტეტებში, მას ბუნებამ უბოძა ვეებერთელა ნიჭი, დიდი ინტუიცია და ამის საშუა-

და დიდის დანახვა

25 იანვარი ედუარდ შევარდნაძის დაბადების დღეა

ლი საქართველო სოციალისტების ხელში იყო და იქ ბევრი რამ გადასაკეთებელი იყო საკუთრების თვალსაზრისით.

მეორე, ხომ შეიქმნა პარლამენტი, პირველი პარლამენტი იყო პლურალისტული, მაგრამ ძალიან დაქუცმაცებული, რადგან ბარიერი არ იყო, ეს შევარდნაძემ სპეციალურად გააკეთა. მას უნდოდა, რომ ყველა მოხვედრილიყო იმ პარლამენტში, რომ გარეთ არავინ არ დარჩენილიყო. ალბათ, ეს სწორი იყო, რადგან მაშინ გარეთ დარჩენა ძალიან საშიში იყო. ვინც გარეთ რჩებოდა, ხელად იარაღს იღებდა, ან ჯგუფს ქმნიდა. ამიტომ ყველა იყო პარლამენტში, და ძნელი იყო საშინლად... კონსტიტუციის გატარება... მანდ რა იყო, იცით? ამისთვის ორი თუ სამი თვე პარლამენტში გაატარა...

და ახლა ვთქვით მართალი, თავისუფალი მედია შევარდნაძის დროს ნამდვილად იყო იმ დროზე, რამდენადაც შეიძლებოდა საქართველოში საერთოდ ყოფილიყო. მეტსაც გეტყვით, თქვენ გახსოვთ მუდმივი კრიტიკა შევარდნაძის, ლანძღვაც კი, იყო სატირა.

იცით, რას მუუზნებოდა შევარდნაძე ამაზე? იმის გარემოცვაში იყო ხალხი, ვინც სულ სხვა რამეებს იყვნენ შეჩვეულნი. ვიღაცა ეტყოდა, ბატონო ედუარდ, ის რომ არის „დარდუბა“... იცით, რას ეუბნებოდა ყველას? ეგ არის ჩვენი ყველაზე დიდი მიღწევა. ამით იყო ეს ადამიანი უნიკალური, ის არ ჰგავდა სხვებს. საბჭოთა ბიუროკრატია როგორი იყო? როგორც კი დაჯდებოდა პოსტზე, ცდილობდა სტატუს-კვოს შენარჩუნებას, მაძლარი ცხოვრების გამარადისებას. შევარდნაძე იყო მოუსვენარი ადამიანი, რომელიც ყოველთვის ახალს ეძებდა. ჯერ კიდევ ცეკვას მდივნობის დროს მთელი თავისი ექსპერიმენტებით, დეიდეოლოგიაზაციით სარისკო მოქმედებებსაც აწარმოებდა.

— **თუ გქონიათ ურთიერთობა შევარდნაძესთან უკვე მისი პრეზიდენტობის შემდგომ პერიოდში და თუ ვისაუბრიათ ახალ ქართულ პოლიტიკაზე, იმ პოლიტიკაზე, რომელიც უკვე მის შემდეგ ჩამოყალიბდა?**

— რამდენჯერმე შევხვდი, მერე მე უკვე ინგლისში წავედი, აქ არ ვიყავი, ბოლოს უკვე აღარ მინახავს, ტელეფონით ველაპარაკე ორჯერ ინგლისიდან.

ახალი მთავრობის პირველი წლებში, მე მგონი 2005 თუ 2006 წლებში შევხვდი, ბუნებრივია, მას მაინცდამაინც ამ მთავრობის მიმართ არ შეიძლებოდა სიმპატიები ჰქონოდა. ისიც არაორდინალური თვისება იყო შევარდნაძის, რომ ახალგაზრდა პოლიტიკოსებს, მართლა განათლებულ ახალგაზრდა ყმაწვილებს, რომლებსაც ჰქონდათ დასავლური ორიენტაცია, საშუალება მისცა, რომ, ფაქტობრივად, პარლამენტი ხელში აეღოთ. მათ ხელში იყო პარლამენტი და მაშინ ძალიან დიდი საქმეები გააკეთეს. ევროსაბჭოში ჩვენი მოხვედრა და ა.შ. ეს იმათი ნამუშევარია. მაგ-

ლებით აკეთებდა ყველაფერს.

— **მათ შორის იყო მისი გამორჩეული იუმორი...**

— წარმოუდგენლად განსაკუთრებული რამ იყო იუმორი მის შესხედრებში, არ მახსოვს შესხედრა, რომ იუმორით სავსე ფრაზით არ დაეწყო. თან რომ არაფერი არ ემჩნეოდა, ვითომ სერიოზული სახე რომ ჰქონდა. ეფექტი როგორი იყო, იცით? რომ იწყებდა ლაპარაკს, ვთქვით ჩვენი მეზობელი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი ზის, იწყებენ ლაპარაკს. ეს რომ ეტყოდა რაღაცას, იმას ეგონა, რომ ეს სერიოზულად



პრადის ნატოს სამიტი (2002).
ედუარდ შევარდნაძე,
ილდარ ჰარამიანი, ჯორჯ ბუში.
სწორედ ამ სამიტზე გამოცხადდა
შევარდნაძის პირველად საჯაროდ
განცხადება ნატოსთან
გაწევრიანების სურვილი.
პრადი. 2002 წლის ნოემბერი.

ხდებოდა, ამიტომ ჯერ გაშტერებული უყურებდა და მერე იყო ხოლმე ძალიან დიდი ეფექტი. მაგალითად, ეს ჰკითხავდა, როგორაა თქვენთან საქმე, და ის ეტყოდა, ახლა რა გვიშავს, ზაფხულია და ზამთარში რა გვეშველებაო. ეს სერიოზულად შესედავდა და წელს ზამთარი არ იქნებაო, ეტყოდა, გაშტერებული უყურებდა, როგორ არ იქნებაო? განა არ იცითო, ჩვენ უკვე აკვრძალეთ ზამთარი და მივიღეთ გადაწყვეტილება, თუ გნებავთ, გაჩვენებთო. ის გვიან ხდებოდა, რომ ეს ხუმრობდა...

ეს მუდმივად ხდებოდა, ვთქვით ევროკომისიის დელეგაცია ჩამოვიდა, მასზე მდიდარი ინსტიტუტი არ არსებობს, ევროკომისია არის მთელი ევროკავშირის ფინანსები და რომ დასხდნენ, ეს ეუბნება, ვიცი, თქვენ აქ ფულის სათხოვნელად ჩამოხვედითო... ისინი ჯერ გაშტერებულნი უყურებდნენ, მერე იწყებოდა სიცოლი.

ჩემთან დაკავშირებით ასეთი რამ მახსოვს, რომის პაპი იყო ჩამოსული. უკვე გითხარით,

ხელფასი არ გვექონდა, ენთუზიაზმით ვმუშაობდით და ამიტომ ათასი რაღაცის კეთება მიხდებოდა. დავედიოდი გარნისში, სტრატეგიული კვლევის ცენტრში და ლექციებს ვკითხულობდი, 1000 დოლარს ვიღებდი, რომელიც მერე, ფაქტობრივად, მთელი წელი მყოფნიდა. მაშინ ასე იყო. ჩემი ლექციები დამთხვავა პაპის ვიზიტს. ვიფიქრე, რომ ვუთხრა, შეიძლება დარჩენა მთხოვოს და მერე რა ვქნა-მეთქი? არ ვუთხარი და წავედი. თბილისში რომ ჩამოვედი, ხომ უნდა ვუთხრა და ბოდიში მოვუხადო, დაეურეკე, და ბატონო ედუარდ, ბოდიში, პაპი იყო ჩამოსული და მე ვერ მოვახერხე დარეკვა, გარნისში ვიყავი-მეთქი, იმან იცოდა, რატომ დავდდიოდი იქ... ო, გიკითხა, სხვათა შორის... და მერე დაამატა, ორჯერ... მუდმივად იყო ასეთი იუმორი, თუკი გენდობოდა, და თუ აფასებდა შენს ნიჭს...

— **ადვილად შედიოდა ნდობაში?**

— ასეთ სიახლოვეს ადვილად არ ამყარებდა, მე პირველი რამდენიმე თვე მასთან კარგი კონტაქტი არ მქონდა. როცა დავინწყე მუშაობა, კარგად არც ვიცნობდი, რაღაც შიშის გრძნობა მქონდა, ცოტა მოუსვენარი იყო და ყოველთვის გეუბნებოდა, ეს შეასრულეთ, ეს გააკეთეთო? მაგრამ მერე, როცა ნდობას გამოიმუშავებდი და იუმორზე გადმოდიოდა შენთან, მასთან ურთიერთობა ძალიან კომფორტულიც იყო.

— **რამდენად აუცილებელია, რომ მის სამშობლოში სამეცნიერო დონზე მოხდეს შევარდნაძის პოლიტიკური კარიერის შესწავლა, რაც ჯერჯერობით არ გაკეთებულა?**

— მე მგონი, ყველა პრეზიდენტისა და ყველა ხელმძღვანელის, მთავრობის შესწავლა უნდა მოხდეს... საერთოდ, ვფიქრობ, საქართველო უნდა გადავიდეს თეატრალიზებულ პოლიტიკაზე. ეს რას ნიშნავს? თეატრში რომ ურტყამ, ცხვირიდან სისხლი არ მოსდით... ეს ნამდვილი პოლიტიკაა, თუმცა მაინც იქნება ერთმანეთის კრიტიკა, ლანძღვა, ყველაფერი, მაგრამ ასეთ რეველუციამდე მისვლა და ისეთი ტიპის პოლიტიკა, სადაც თეატრალური ელემენტი სულ არ არის და მთლიანად არის ნამდვილი ქუჩის ჩხუბი, ეს ჩემთვის მიუღებელია.

— **მას შემდეგ, რაც ამ ყველაფერს შეისწავლიან, როგორ ფიქრობთ, მსოფლიო პოლიტიკაში უკვე შევარდნაძის ადგილი განსაზღვრულია? იგი იყო დიდი საერთაშორისო მოთამაშე, ქართული ისტორია როგორ შეაფასებს მას? დღეს-დღეისობით უკვე საკამათო თემაა, ზოგი ამ-**

ის სიგიჟე (ამ სიტყვას მე ყოველთვის დადე-ბითად ვხმარობ, არ გენყინოთ), რომელიც ყოველთვის ძლიერ პოლიტიკოსს ახასიათებს, აუცილებელია. მაგრამ ბოლომდე შეიძლება ბატონმა ედუარდმა ვერ შეინარჩუნა აქ ყოფნისას. ამიტომ იყო სწორედ საგადასახადო ტერორიზმი, და ის ყველაფერი, რამაც ქვეყანა დააზარალა.

— **შევარდნაძე პირველ არხთან ინტერვიუში ადრე აღნიშნავდა, რომ ის პერიოდი, როდესაც სამშობლოში დაბრუნდა, საკმაოდ რთული იყო და გონიერი პოლიტიკოსი, ალბათ, მიიღებდა გადაწყვეტილებას, რომ ის ნაბიჯი, რაც გადადგა, არ გადაედგა. არ ჩამოსულიყო საქართველოში. საბჭოთა პერიოდს რომ დაეუბრუნებოდა, მას აქვს ძალიან დიდი წვლილი, როგორც უცხოელი პოლიტიკოსები ამბობენ, საბჭოთა კავშირის დანგრევამ, თუმცა ამ დანგრევის შემდეგ საქართველო ძალიან რთულ ვითარებაში აღმოჩნდა. როგორ ფიქრობთ, თუ შეიძლებოდა, საბჭოთა პერიოდში საქართველოსთვის უფრო სხვანაირი სვლები გაკეთებულიყო და უფრო უკეთესი მდგომარეობით წასულიყო ჩვენი ქვეყანა? თუ ის უბრალოდ საბჭოთა კავშირის ნანგრევებში მოგვყავდა?**

— არა მგონია... ვინ გადაურჩა ნანგრევებს? ჯერ ერთი, იყო ქვეყნები, სადაც ასეთივე კონფლიქტები იყო, არა? ჩვენ ორი ძალიან სერიოზული კონფლიქტი გვექონდა, რამაც გამოიწვია ეს ყველაფერი. ქვეყნები, სადაც ამგვარი რამ არ მოხდა, არ მოხდა ალბათ იმიტომ, რომ არ იყო არაფერი წინაპირობა ამისა. მე არა მგონია, რომ რომელიმე ქვეყანა გამოვიდა საბჭოთა კავშირიდან ძალიან გამარჯვებული. ასეთი ქვეყნები არ არის. როცა დაირღვა ეს კავშირები, ყველასთან მოხდა ერთი და იგივე... კავშირებზე იყო აგებული ყველას ეკონომიკა. ბოლოს საბჭოთა კავშირის ეკონომიკა მართლა უკვე არაფერი იყო.

შეიძლება ბევრს არ ახსოვს, მაგრამ მე ძალიან კარგად მახსოვს, რომ 1982, 83, 84 წლებში ღამეებს ვატარებდი ბენზინის რიგში. ეს ხდებოდა ქვეყანაში, სადაც წარმოუდგენელი რაოდენობით ნავთობი და გაზია.

რა იყო საბჭოთა კავშირი? რომელ ეკონომიკაზეა ლაპარაკი, როგორ უნდა გამოსულიყო იქიდან კარგად რომელიმე რესპუბლიკა, როცა თვითონ საბჭოთა კავშირს არაფერი არ ჰქონდა? პლიუს კიდევ, დაიქცა და დანგრეა მთლიანად ყველა კავშირი, რომელიც არსებობდა, საბჭოთა ეკონომიკა სწორედ ამ კავშირებზე იყო აგებული. რომელი გამოვიდა კარგად? არც ერთი. ყველას ჰქონდა უდიდესი სიძნელებები, ოღონდ საქართველოს მეტი ჰქონდა ამ კონფლიქტების გამო, სადაც ჩარეული იყო რუსეთი. ეს ძალიან მნიშვნელოვანი მომენტია, რომ რუსეთს უნდოდა ეს ტერიტორიები.. როგორ, რა სახით უნდოდა, ანექსირება, ოკუპაცია, ამას ვხედავთ ჩვენ. ეს ცოტათი კიდევ უფრო აძნელებს ამ სიტუაციას, იმიტომ რომ სხვა კონფლიქტების შემთხვევაში, იქ რუსეთი პირდაპირ ჩარეული არ არის. აქ პირდაპირ რუსეთია.

მეტსაც გეტყვით, როცა 27 სექტემბერს ვნახე შევარდნაძე, მე იქამდე ორი კვირით ადრე ვიყავი სოხუმში, მე და თედო ჯაფარიძეს დაგვევალა და ჩვენ ჩავიყვანეთ იქ აკრედიტებული დიპლომატები. საშინელება ვნახეთ. არ აგვაფეთქეს თვითმფრინავით იმიტომ, რომ ბორტზე გვყავდა რუსეთის ელჩი. ეჭვი არ მეპარება, რომ ეს იმათ მშვენივრად იცოდნენ.

მაგრამ როცა ჩამოვიდა იქიდან, პირველი, რაც მითხრა, გელა, არ წარმოიდგინო, არ გეგონოს, რომ ეს აფხაზებმა გააკეთესო. ეს რუსების ამბავი იყოო.

— **ამის შემდეგ დსთ და რუსული სამშვიდობოები ჩადგნენ აფხაზეთში... დსთ-ს აცდენა, ალბათ, შეუძლებელი იყო.**

— რასაკვირველია, აქ არის მომენტები, რაზეც ისევ გეუბნებით, დღეს მე არ მინდა საუბარი, მოგეხსენებათ, იყო კიდევ სამოქალაქო ომი, სადაც აფხაზეთის ომის შემდეგ რაც ხდებოდა იქ, უკვე ისეთი ტიპის მანევრირება იყო, რომელიც დსთ-ში შესვლას განაპირობებდა. დსთ-ში შეუსვლელობა უკვე ამის შემდეგ შეუძლებელი გახდებოდა. ამას, ალბათ, ისტორია ნახავს და ამაზე მერე დეტალურად ილაპარაკებენ. როგორც გითხარით, დღეს არ მინდა ასეთი ჩიხური სიტუაციების განხილვა, რადგან დღეს განსაკუთრებული დღეა.

— **დიდი მადლობა, რომ ამ განსაკუთრებულ დღეს მოზრძანდით და „მოამბის“ ეთერში ესოდენ ვრცელად ისაუბრეთ ედუარდ შევარდნაძეზე, მის პოლიტიკაზე როგორც საერთაშორისო ასპარეზზე, ისე დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში.**

პრესკონფერენცია

„ფრთები სიცოცხლისათვის“ — ისევ ლოპოტაში

WINGS FOR LIFE-ს და კომპანია Red Bull-ის ორგანიზებით შარშან პირველად განხორციელდა საქველმოქმედო ღონისძიება — მსოფლიო რბენა, რომელშიც 29 ქვეყნის 35.000-მდე ადამიანი მონაწილეობდა და შემოსული თანხა — სამილიონ ევროზე მეტი სრულად გადაეცა Wings for life-ის ფონდს, რომელიც ახორციელებს სამედიცინო და კლინიკურ კვლევებს ზურგის ტვინის დაზიანების სამკურნალოდ. საქართველოში ადგილობრივი კომპანია Red Bull-ის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს და „სპორტი ყველასათვის“ ეროვნული ფედერაციის ორგანიზებით კახეთში — ლოპოტის გადასახვევიდან კავკასიონის ქედის გაყოლებით 3.000-მდე ადამიანმა ირბინა და „ფრთები სიცოცხლისათვის“ ფონდში 100.000 ლარი გადაირიცხა. Wings for life-ის მსოფლიო რბენა წელეულს 3 მაისსაც კახეთში ლოპოტის ხეობაში მოეწყო, სადაც არც ამჯერად იქნება განსაზღვრული ტრასის მანძილი და დრო. ღონისძიების მონაწილენი ირბენენ სპეციალური „ფინიშის მანქანის“ წამოწევაზე, რომელიც სტარტიდან 30 წუთში დაიწყებს მოძრაობას წინასწარ დადგენილი 15-20 კმ/სთ სიჩქარით.



(60 მეტრზე რბენაში მისი მსოფლიო მიღწევა 10 წელიწადია საუკეთესოდ რჩება) ბრიტანელი ქოლინ ჯექსონი, რომელიც ამჟამად Wings for life World Run-ის სპორტული დირექტორია. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრ ლევან ყიფიანსა და სეულის ოლიმპიადის პრიზიორთან, საქართველოს რბენის სპორტულ დირექტორ მაია აზარაშვილთან ერთად სასტუმრო Rooms-ში მან პრესკონფერენცია გამართა.

მაია აზარაშვილი: შარშან ჩვენ

ფედერაცია „სპორტი ყველასათვის“ აქტიურად გამოემართა მსოფლიო რბენის საქველმოქმედო აქციას. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს აქტიური თანადგომითა და დახმარებით პროექტი წარმატებით განხორციელდა. მაღლობა ყველას. დარწმუნებული ვარ, წლეულს მონაწილეთა რაოდენობა გაცილებით მეტი იქნება, რათა მთელ პლანეტაზე სიცოცხლის გადასარჩენად საკუთარი წვლილი შევიტანოთ.

ლევან ყიფიანი: Wings for life-ის მართლმართი მნიშვნელობა პროექტია, რომელშიც მთელი მსოფლიო ჩართული ცხოვრების ჯანსაღი წესის დასამკვიდრებლად. დიდი მაღლობა მისი ინიციატორებს. მოვუწოდებ ყველას, აქტიურად ჩაებნან ამ ღონისძიებაში. აქ მთავარია ის, რომ შენ მთელ მსოფლიოსთან ერთად იმ ადამიანების გვერდით ხარ, რომლებსაც შენი დახმარება სჭირდება.

ქოლინ ჯექსონი: საქველმოქმედო ღონისძიება მსოფლიო რბენის იდეას 2013 წელს ჩაეყარა საფუძველი. შარშანდელი აქცია წარმატებით განხორციელდა. მაღლობა საქართველოს, რომ აქტიურად გამოგვეხმაურა. ბატონი ლევან ყიფიანი ერთადერთი მინისტრია მსოფლიოში, რომელმაც პირადად მიიღო მონაწილეობა ამ მართონში. მჯერა, რომ საქართველო წლებადღე ღონისძიებაშიც აქტიურად ჩაებნება...

ლევან ყიფიანი: სურათში: მარცხნიდან — ქოლინ ჯექსონი, ლევან ყიფიანი და მაია აზარაშვილი. აპტორის ფოტო.

ფეხბურთი

მარცხისგანაც სწავლობენ



საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა „განვითარების თასის“ ჯგუფური ეტაპი მარცხით დაასრულა — გოჩა ტყეშელაშვილს გუნდი ლატვიასთან 1:2 დამარცხდა. 8-გუნდიანი ტურნირი ბელარუსის დედაქალაქ მინსკში ტარდება.

ქართველი ფეხბურთელები, რომლებიც მარტში ევრო 2015-ის ელიტ-რანდში ითამაშებენ, მე-13 წუთზე დაწინაურდნენ — ლუკა ლოჩოშვილმა გახსნა ანგარიში, თუმცა, 29-ე და 44-ე წუთებზე ორი გოლი გაუშვეს და შეხვედრის გადარჩენა ვეღარ მოახერხეს.

ტყეშელაშვილს გუნდი მინსკში კიდევ ორ მატჩს გამართავს: დღეს ქართველი 17-წლამდელთა ბელარუს-იაპონიის შორის დამარცხებულს დაუპირისპირდებიან, ერთი დღის შემდეგ კი — გამარჯვებულს.

გიორგი შოთაძე

კალათბურთი

ჩუბინი და კოლო და მარკოიშვილის 3 ქულა

მანუარ მარკოიშვილის ცსკა-ს ევროლიგაზე ვერავინ აჩერებს. მოსკოვურმა გრანდმა პირველ ჯგუფურ ეტაპზე ათივე მატჩი მო-

ბურთი ერთხელ დაკარგა და 3 პერსონალური ფოლი მიიღო, თანაც მოკლე დროში და ბერძენმა თავკაცმა დიმიტრის იტუდისმა სა-



იგო, ტოპ-16-ში კი მე-4 შეხვედრაში იმარჯვა.

ცსკა-მ ამჯერად მალაგას „უნიკასას“ უმასპინძლა და მეტოქე 101:74 გაანადგურა, ქართველი კალათბურთელი კი მოედანზე 9 წუთი გამოჩნდა და 3 ქულა და 2 მოხსნა მოაგროვა.

მარკოიშვილმა ორქულიანი და ტექნიკური საჯარიმო ჩააგდო,

შა კაუნმა კი 13-13 ქულა ჩააგდეს.

„უნიკასას“ შემადგენლობაში ლიტველ მინდაუგას კუზმინკასთან ერთად ყველაზე შედეგიანი ქართული პასპორტის მქონე ამერიკელი უილ ტომასი იყო. ამერიკელმა ფორვარდმა 22 წუთში 11 ქულა, 2 მოხსნა და 1 პასი მიითვალა.

ვიტალი ჯაფარიძე

ჩოგბურთი

სენსაცია მელბურნში



ბოლო 12 წლის განმავლობაში პირველად როჯერ ფედერერი ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალში ვერ გავა. ეს მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც 33 წლის შვეიცარიელი რეიტინგში 46-ე საფეხურზე მყოფ იტალიელ ანდრეას სეპისთან 4:6, 6:7, 6:4, 6:7 დამარცხდა. ბოლოს ფედერერმა ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალამდე 2003 წელს ვერ გააღწია, როდესაც დავიდ ნალბანდიანთან წააგო.

სეპის და ფედერერის პაექრობა თითქმის 3 საათს გაგრძელდა. ანდრეასმა პირველად მოახერხა როჯერის დამარცხება და 33 წლის შვეიცარიელთან ურთიერთშეხვედრათა ანგარიში 1:10 გახდა. რეიტინგის მქონე ნომერთან დაპირისპირებისას სეპიმ 4 ეისი და 3 ბრეიკი შეასრულა. ანდრეას სეპის მომდევნო მონაწილეობა ავსტრალიელი ნიკ კირგოსისა და ტუნისელი მალეფ ჟაზირის მატჩი გამოავლენს.

შეგახსენებთ, მელბურნში მიმდინარე სადიდსლეიო ტურნირის წლევედელი საპრიზო ფონდი 40 მილიონი ავსტრალიური დოლარია, ფედერერს კი ეს შეჯიბრება 2004, 2006, 2007 და 2010 წლებში მოუტია.

კოკა კოპასიძე

ავტოსპორტი

„მერსედესი“ W06-ს პირველ თაგავალს გვიჩვენებს

„მერსედესი“ გამოაცხადა, რომ ახალ საბოლოო ავტომობილს, სახელად W06, რომლითაც ლუის ჰამილტონი და ნიკო როსბერგი ახალ სეზონში იასპარეზებენ, ხერესში, წინასასეზონო ტესტების დაწყებამდე, 1 თებერვალს გვიჩვენებენ. სხვათა შორის, სამქიმიანებმა გასული სეზონის W05-იც პირველად ხერესის ტესტების წინ გაგვაცნეს.

ახალი ბოლიდის ტესტირების საშუალება პირველს როსბერგს მიეცემა, რომელიც ტრასაზე ტესტების პირველ და მესამე დღეს გამოვა, ჰამილტონი კი საქვს მეორე და მეოთხე დღეს მიუჯდება. როგორც გერმანული გუნდი განაცხადებს, შარშან პირველმა ტესტები ჰამილტონმა დაიწყო.

„გასულ სეზონში სრულიად ახალი ფორმულის შესაბამისად გვიწევდა ძალისხმევა, ამჯერად კი ჩვენ შემდეგი ნაბიჯის გადადგმა

გვინევს. ჩვენ ვიცით, რომ სხვა გუნდები ჩვენს უკან არიან. ასევე ვიცით, რომ მეტოქეები მელბურნის რბოლიდანვე კონკურენტუნარიანები იქნებიან. ამიტომ ყოველ დეტალზე ყურადღების გამახვილება გვმართებს, თუ გვსურს, რომ ამ სეზონშიც უპირატესობა გვქონდეს. ბრეკლიში, ბრიკსურორტში და შტუტგარტში ყველაზე ბევრი იშრომა, რათა ახალი ვერცხლისფერი ისარი შეეცმნათ. ამიტომ მიზნად, ყველას დიდი მაღლობა გა-



დავუხადო. ახლა მოუთმენლად გვლით მომენტს, როცა ის ტრასაზე გავა და ჩვენი შრომის შედეგს საქმეში ვნახავთ“, — ამბობს გუნდის შეფი ტოტო ვოლფი.

მანუარ გიორგაძე

ინტერნეტიდან

მარად უჭკნობი ვიკი

როგორც ძველი ბერძენები იტყოდნენ, ცხოვრებას გამოცდილება ქმნის და ეს თუ მართლაც ასეა, მაშინ მთელს დუნიაზე ცხოვრება ყველაზე კარგად არგენტინელ მოდელსა და ფეხბურთელს დიედოსტატს, მშვენიერ ვიკი (ვიქტორია) ხიპოლიტაკის სცოდნია, რომელმაც ყველაფერი იცის რაც საჭიროა და ისიც, რაც საჭირო არაა.

ვიკის — არგენტინის ნაკრების თავგადაკლულ ქომაგს, იმდენ არგენტინელ სპორტსმენთან ჰქონია რომანი, მათ ჩამოსათვლელად ჩვენ კი არა, მასაც არ ეყოფა დრო და ნერვები. ამის მიუხედავად, ეს შვებარე ქალბატონი არაფრის დიდებით არ აპირებს ცხოვრების წესისა და ნიშნის შეცვლას.

სხვათა შორის, ვიკი ხიპოლიტაკისი თურმე სამოდელო საქმეშიც ერთობ ძლიერი და პატივდებული ქა-



ლი ყოფილა, მაგრამ აბა ეს ვისლა ახსოვს? საკმარისი იყო ამ ქალს ერთხელ დაეტყობინა საკუთარი ნიჭი თავსებოთ, რომ მისი იმიჯი უმალ ტიტლიკანობამოყვარე ქალისად გარდაიხსნა. ასეთია ცხოვრება. ფოტოკამერის წინ წამოპლაკვა ადვილი საქმე როდის ყოფილა?...

როსტოპ რაჭველიშვილი

* * *



* * *

დაახლოებით ორი წლის წინ, აღნიშნულ კანონში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეძენასთან დაკავშირებით უცხოელებსა და საზღვარგარეთ რეგისტრირებულ იურიდიულ პირებზე მორატორიუმი გამოცხადდა. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საკუთრების უფლება დაშვებულ იქნა მხოლოდ კომერციული ბანკებისათვის, ასევე განსაკუთრებული შემთხვევებში - მთავრობის გადაწყვეტილებით. გასულ წელს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნული მორატორიუმი არაკონსტიტუციურად ცნო და კანონის შესაბამისი მუხლი ძალადაკარგულად გამოაცხადა.

© სულიერება

**მარიამ ღვთისმშობლის
სახტო ღვთისმშობლი, რომელიც
ათონის წმინდა მთაზე იმყოფებოდა**



25 იანვარს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს სახტო ყოვლანშენიან ღვთისმშობლისათა: „რძით მასაზრდოებელი“ და „აკათისტო“ (დაუფდომელი).

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი, რომელსაც „ძუძუსმანოველები“, ანუ „რძით მასაზრდოებელი“ ეწოდება, ამჟამად ათონზე, სილანდარის მონასტრის ერთ-ერთ ეკლესიაში იმყოფება.

ზეპირი გადმოცემით, ეს ხატი ყოფილა კუთვნილება წმინდა საბა განწმენდილის ლავროსა, რომელიც იერუსალიმის ახლოს მდებარეობს. მონასტრის დამაარსებელმა წმინდა საბამ იწინასწარმეტყველა, რომ მის სავანეს მომავალში მოილოცავდა მისი თანამოსახელე სერბეთიდან და ძუძუსმანოველები ღვთისმშობლის ხატი მონასტრიდან კურთხევის ნიშნად მისთვის უნდა მიეძღვნათ.

ცნობილია, რომ წინასწარმეტყველება რვა საუკუნის შემდეგ ახდა, როდესაც პალესტინაში სერბელი ეპისკოპოსი საბა ჩავიდა, სწორედ მას გადაეცა ღვთისმშობლის „ძუძუსმანოველები“ და „სამხელა“ ხატები. სერბეთში დაბრუნებისას ეპისკოპოსმა საბა სერბელმა ათონი მოინახულა, სადაც სილანდარის მონასტერი დააარსა და ძუძუსმანოველები ღვთისმშობლის ხატი იქ დატოვა...

გიული ლიპარტია

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.

299-62-77; 568 82-09-84..

პასიენტი საყურადღებოდ!

ეს არ არის რეკლამა! სამედიცინო რეკლამა მისი უხეირობის ნიშანია. ეს მხოლოდ ინფორმაციაა...

პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დაწყებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“, თბილისი, 0112, თევდორე მღვდლის 13 ტელ: (995 32)224 00 99, 224 00 98.

© კადრი



© ცინცხალი ანეკდოტები

ერთი მელოტი მეორეს ეუბნება:

- შენა ჩემზე ქაჩალი ხარ!
- ვითომ რათაო!
- რათა და იმათა, რომ ჩემზე უფრო დიდი თავი გაქვს!

მძიმე ოპერაცია მიდის, მაგიდის ქვეშედა კი სულ „მიაუ-მიაუ“ გაისმის. ნერვებზე მოშლილი ქირურგი პაციენტის ნახევარ ღვიძლს აჭრის და მაგიდის ქვეშ კატას უგდებს: „გაგისკდა მუცელი!“

— ეძიე, მიშველეთ: ცოლი მალაატობს, მე კიდევ რქები არ ამომდის!..
— დამშვიდდით, რქები არც უნდა ამოგივიდეთ, რადგან ეს გამოთქმა გადატანითი მნიშვნელობითაა!
— დიდი მადლობა ექიმო, დიდი მადლობა! მე კი მეგონა, რომ ორგანიზმში კალციუმი მკლავია!..

— ჩემი ცოლი ტყუპისცალია.
— მერედა ტყუპებს ერთმანეთში როგორ არჩევ?
— როგორ და ძალიან ადვილად — მაგის ძმას წვერულვაში აქვს!

— მაგი, დედიკო რათ შაირთე ცოლად? — ეკითხება პატარა მიხო შაქროს.

— გეყურება, დედაკაცო, ხედავ, ბაღსაც კი უკვირს, ე რა სისულელე ჩაიდინა მამამაო!..

ჭიჭიკიპის სიდედრს მეტეორიტი დაეჯახა. ეს იყო ასტრონომიაში პირველი შემთხვევა, როცა ჩამოვარდნილმა ვარსკვლავმა პირადად შეასრულა ვილაცის სურვილი.

— კი მაგრამ, როგორ შეგიძლიათ რამეში დამადანაშაულოთ, თქვენ მე ხომ საერთოდ არ მიცნობთ!
— თქვენი ადგილი დაიკავეთ, მსჯავრდებულო!

— რაფირ ხარ, ძამა?



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთილი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**საქართველოს
რესპუბლიკა**
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (მთვინი)
პაროქიასი) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლობა:
შპს „თანადგომა“-გაზეთ
„საქართველოს
რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ. 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)



მთავარი
რედაქტორი
ალექო
ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გომიასვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქოშულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაქიძე 514 33-33-24